


ალექსანდრე ორჯონიკიძე

**ადრეული ყორღანები
საქართველოში**



GEORGIAN NATIONAL MUSEUM
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი

ALEXANDER ORJONIKIDZE

**THE EARLIER PERIOD
KURGANS IN GEORGIA**

Tbilisi

2015

ალექსანდრე ორჯონიკიძე

**ადრეული ყორღანები
საქართველოში**

თბილისი
2015

ნაშრომში თავმოყრილი და განხილულია ძვ.წ. III ათასწლეულში
საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ყორღანული
სამარხები და მათში აღმოჩენილი ინვენტარი

რედაქტორი: ზურაბ მახარაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი: ლერი ჯიბლაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

© ალექსანდრე ორჯონიკიძე, 2015

© Alexander Orjonikidze, 2015

ISBN 978-9941-450-99-0

ადრეული ყორღანების გავრცელებისათვის საქართველოში

ყორღანების გამოჩენა და დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს უძველეს ისტორიაში. ამ დროს დგება გარდატეხის ჟამი ადრებრინჯაოს ხანის კულტურის განვითარებაში – ტრადიციულად სამხრეთზე ორიენტირებული, ძველალმოსავლური ცივილიზაციის პერიფერიად მიჩნეული საქართველო ამიერიდან გარკვეული ხნით ექცევა ევროპულ კულტურათა ორბიტაში. სუსტდება კავშირი სამხრეთთან, კრიზისს განიცდის ადგილობრივი მტკვარარაქსული კულტურა. სამაგიეროდ, მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩრდილო ზონისთვის დამახასიათებელი სამარხის ტიპი – ყორღანი, ვრცელდება ამ ზონის მატერიალური კულტურის ელემენტები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრეული ყორღანების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბნეული მონაცემების თავმოყრა, მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, რეგიონში ადრებრინჯაოს ხანის მინურულს მომხდარი ცვლილებების უმთავრესი წყაროს — ახალი კულტურული ნაკადების გამოჩენის ძირითადი გზების გამოკვლევა. თუმცა, მიზნის მიღწევას სერიოზულად აფერხებს უხარისხო ილუსტრაციები და მეტად მწირი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის 100-ზე მეტი სამარხი მაინც იძლევა საშუალებას მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შევიქმნათ ყორღანთა გავრცელებისა და მათი კონცენტრაციის ზონებზე, აგების ხერხებსა და თავისებურებებზე, სამარხეულ ინვენტარსა და სხვა საინტერესო იმ საკითხებზე, რომლებზეც მუშაობა მნიშვნელოვნად გაგვიადვილა აკად. ოთარ ჯაფარიძის შესანიშნავმა გამოკვლევამ [ჯაფარიძე 1998].

ყორღანი – ხელოვნური ქვა-მინაყრილის ქვეშ მოქცეული სამარხი — სამხრეთ კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში. იგი, როგორც სამარხის ტიპი, უნდა წარმოქმნილიყო გაშლილ ადგილას, სტეპში, სადაც სამარხის თავზე ამოზიდული ხელოვნური ყრილი ადვილად გასარჩევი იქნებოდა. ფიქრობენ, რომ ყორღანი პირველად კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ე.წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის წიაღში წარმოიშვა და შემდგომაც უწყვეტად განაგრძობდა არსებობას.

ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოდან იგი ჩრდილო კავკასიაშიც იკიდებს ფეხს და დამახასიათებელი ხდება სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის, ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და კავკასიისათვის [ჯაფარიძე 1998:168]. რამდენადმე მოგვიანებით სამარხის ეს ტიპი საქართველოს ტერიტორიასაც აღწევს და იკავებს ძირითადად მის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც მანამდე ყორღანული სამარხი უცნობი იყო. იგი მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოსთვის იჩენს აქ თავს ე. წ. ადრეული ყორღანების სახით. მართალია, მტკვარ-არაქსის კულტურაში თითქოს უკვე არსებობდა მისი კონსტრუქციული ჩანასახები – ორმოსამარხებსა და აკლდამებზე გამართული მცირე ქვაყრილები, მაგრამ მტკვარარაქსელი არ იღებს სამარხის ამ ფორმას თავისი საზოგადოების სამეურნეო და სოციალური შინაარსის გამო. [ჯაფარიძე 1998: 178-179; მირცხულავა 2011: 193]. თვლიან, რომ იმდროინდელი საზოგადოება სოციალური და ქონებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ იყო მისული იმ დონემდე, რომ მის დანიშნულებულ ნაწილს შესაძლებლობა ჰქონოდა გრანდიოზული ყორღანების ასაგებად საჭირო ადამიანური რესურსებისა და მატერიალური საშუალებების მობილიზება მოეხდინა. მითუმეტეს, რომ იმ დროისათვის არც ჩრდილოურ კულტურებთან კავშირი იკვეთება მაინცდამაინც. ჩრდილოეთიდან ტომების შემოჭრამ კი სტიმიული მისცა საზოგადოების დანიშნულებული წევრებისათვის

დიდი ზომის ყორღანების აგებას, რაც გარკვეულ საზოგადოებრივ გადანაცობას მოითხოვდა მოსახლეობაში. [ჯაფარიძე 1998: 179; ქავთარაძე 1981: 92].

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ადრეულ ყორღანებში გვხვდება სხვადასხვა ტიპი: ორმოში გამართული, ხის ძელებით ნაგები დასაკრძალავი კამერით; ქვის დრომოსიანი ნაგებობით; ხის ძელებით გადახურული უბრალო ორმოთი; მინისპირზე ნაგები ხის ან ქვის სამარხი კამერით და სხვ. ხელოვნური ქვა-მინაყრილით ხშირად დაფარულია ქვით ნაგები აკლდამები და დოლმენებიც. ზოგჯერ ყორღანს ძირში შემოუყვება ქვის წრე-კრომლები. გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი და კოლექტიური დაკრძალვის ნესი. არის კრემაციული სამარხებიც [Mindiashvili 2012: 71-89]. ყორღანები ზომითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთი გრანდიოზულია, მდიდრული სამარხული ინვენტარის შემცველი, ზოგი კი იმდენად ღარიბულია, რომ აშკარაა შეუსაბამობა სამარხის აგებაზე დახარჯულ შრომასა და მიცვალებულისათვის ჩატანებულ ნივთებს შორის. ხშირია ადრეულ ხანაშივე გაძარცვული ყორღანებიც, რაზედაც მიუთითებს მის ყრილში არსებული ჩასაძრომი ხვრელები. სამარხებში გვხვდება ოქროსა და ვერცხლის სამკაული; ბრინჯაოს იარაღი – ცულები, სატევრის პირები, სატეხები; ქვის, პასტისა და ლითონის მძივ-სამკაული; ქვისა და ძვლის ისრის პირები და სხვ. ზოგჯერ ყორღანის კამერაში ჩადგმულია ხის დასაკრძალავი ოთხთვალა ეტლი ან მისი ნაწილები, უმთავრესად – თვლები და სარეცელი; არის სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების მქონე თიხის ჭურჭელი, მარცვლეულისა და ხილის ნაშთები და სხვ.

ყორღანებში ამავე პერიოდის ამსახველი სტრატეგრაფიული მონაცემები მწირია, რაც ართულებს ადრეული და მოგვიანო კომპლექსების კორელაციას. სტრატეგიცირებულ ყორღანებს მიეკუთვნება მარტყოფის №3, ტყემლარას №4 და ხოვლეს სამარხები. მათგან პირველ ორში ასახულია ქრონოლოგიური დამოკიდებულება ბედენის კულტურის ფარგლებში; ხოვლეს ყორღანში კი ურთიერთობა ჩანს ბედენურსა და გვიანმტკვარარაქსულ სამარხებს შორის. სტრატეგრაფიულ მდგომარეობას აღნიშნავენ ანანაურის №2 და ზოგ სხვა ყორღანშიც [ჯაფარიძე 1998: 148-149; 2003: 153-154].

უფრო მრავალრიცხოვანია ყორღანები, რომლებშიც დასტურდება განსხვავებულ კულტურათა თიხის ჭურჭლის თანაარსებობა. ასეთ სამარხებს განეკუთვნება დმანისის №1; ქვემო ქართლის №5, 9; ტყემლარას №2; თეთრინყაროს (1957 წ.); თრიალეთის და ზოგი სხვა ყორღანი.

ადრეული ყორღანების კვლევისას ძალზე მნიშვნელოვანია სტრატეგიცირებული ნასახლარების – ბერიკლდეების, ციხიაგორის და ხაშურის ნაცარგორის მონაცემების გათვალისწინება. სამნუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება ნასახლარი და სამარხული ძეგლების სრულფასოვანი შედარება. ციხიაგორასთან დაკავშირებით ხელისშემშლელ გარემოებად გვევლინება შესწავლილი ფართობისა და მოპოვებული მასალის სიმცირე. ბერიკლდეების მონაპოვარი კი, რომელიც მთლიანად ბედენური ნაწარმითაა წარმოდგენილი, ჯერ კიდევ სრულად არაა შესული სამეცნიერო მიმოქცევაში. უფრო რთულადაა საქმე ხაშურის ნაცარგორაზე. აქ აშკარაა შეუსაბამობა ტექსტსა და ილუსტრაციაზე მოცემულ ადრებრინჯაოს ხანის ჰორიზონტების რაოდენობას შორის. არც მოპოვებული მასალის კულტურულ კუთვნილებასთან დაკავშირებული საკითხებია გარკვეული [Pamišvili 1991: 21; Rova, Puturidze 2010: 8-17; რამიშვილი 2013: 28]. ამიტომ, ამ ნასახლარის მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდულად, ცალკეული ანალოგიების მოშველიების გზით. დათარიღების აბსოლუტური და შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენების საფუძველზე ადრეული ყორღანების არსებობის დრო ტრადიციულად ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით იყო განსაზღვრული. ახალი აბსოლუ-

ტური თარიღებისა და რელატიური ქრონოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით კი იგი დაზუსტდა და მოიცავს ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარსა და შუა ხანებს [ქავთარაძე 1981: 95].

საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი დანესებულების მიერ წლების განმავლობაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია ადრებრინჯაოს ხანის ასზე მეტი ყორღანული სამარხი. მათი მეცნიერული შესწავლის დაწყება მჭიდროდ უკავშირდება ექვთიმე თაყაიშვილის სახელს. მან 1910 წელს საჩხერეში გამოიკვლია ყორღანული სამაროვანი, რომელზეც 1939 წელს დაიწყო, 1945-1946 და 1951 წლებში კი გააგრძელა გათხრითი სამუშაოები ბ. კუფტინმა. 1955 წელს აქვე მუშაობას იწყებს თსუ არქეოლოგიური ექსპედიცია ოთ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით [ჯაფარიძე 1961: 9], რასაც ძალზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგები მოჰყვა.

საქართველოს და საერთოდ, სამხრეთი კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებს. აქ, ნალკის პლატოზე, 1936 - 1940 წლებში და რამდენადმე მოგვიანებითაც, ბ. კუფტინის მიერ გათხარა ადრებრინჯაოს ხანის არაერთი ყორღანი. ამ ყორღანებში ქრონოლოგიური და კულტურული თვალსაზრისით ორი ჯგუფი გამოიყო – შედარებით ადრეული და მოგვიანო (შემდგომში მარტყოფულად და ბედენურად წოდებული). ადრეული ჯგუფის ყორღანების თიხის ჭურჭელში ბ. კუფტინმა შენიშნა მრავალი საერთოს არსებობა წინამორბედი – მტკვარარაქსული კულტურის კერამიკულ ნაწარმთან; აღინიშნა ბედენის კერამიკის თავისებური ხასიათიც [Күфтин 1941; Күфтин 1948].

ნალკის პლატოზე 1947 წელს თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ყორღანი სოფ. ხადიკთან [გრძელიშვილი 1950]. უფრო შედეგიანი აღმოჩნდა მოგვიანებით, 1999 და 2001 წწ. თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული გათხრები ნალკის დაცლილი წყალსაცავის ფსკერზე გამოვლენილი L ყორღანის შესწავლისას. ამ ყორღანის კრომლესხ შიგნით აღმოჩნდა ბედენის ხანის სამარხი. ძვირფასი ლითონის ნივთები იყო ყორღანის მახლობლადაც [ნარიმანიშვილი 2009: 7-8]. ამავე რაიონში გათხარა საფარ-ხარაბას ქვის აკლდამა — ყორღანიც, არქაული იერის მტკვარარაქსული კერამიკით [შანშაშვილი 2010: 146].

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ნალკის მეზობელ თეთრინყაროს რაიონში, ბედენის პლატოზე, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანების გათხრები. აქ გამოვლენილი ყველა ყორღანი ბედენის კულტურას მიეკუთვნება. 1956-1971 წწ. განმავლობაში აქ გამოვლინდა ათი ყორღანი დიამეტრით საშუალოდ 25-80 მ., სიმაღლით 1,5-5 მეტრამდე, ძირითადად ორმოიანი. ამ ყორღანების სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო ხისა და თიხის ჭურჭლით, ოქროსა და ვერცხლის სამკაულით, ბრინჯაოს იარაღით, ხის ურმის ნაწილებით, ქვის ისრის პირებით და სხვ. აღმოჩენილმა მასალამ აჩვენა კავკასიის როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით მდებარე კულტურულ ოლქებთან მჭიდრო კავშირის არსებობა [ჯაფარიძე 1960; გობეჯიშვილი 1981].

1964 წელს, ამავე რაიონში, ნახიდრებისჭალის №3 ყორღანში მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა [თუშიშვილი 1972]. ნაყოფიერი გამოდგა თეთრინყაროს რაიონის სოფ. დურნუკისა და ტყემლარას მახლობლად წარმოებული გათხრებიც, სადაც ძირითადად ბედენის კულტურის ყორღანული სამარხები გამოვლინდა [შატბერაშვილი და სხვ. 2010; შატბერაშვილი და სხვ. 2013; შატბერაშვილი, შატბერაშვილი 2014].

საინტერესო კონსტრუქციის, ქვით ნაგებ ყორღანს მიაკვლიეს სოფ. ორბეთთან [Абрамишвили и др. 1982: 38-47].

ქვემო ქართლში, სოფ. ირგანჩაისთან გამოვლენილი ყოველი ყორღანი ქვაყრილიანი და ორმოიანი იყო. სამწუხაროდ, ყველა გაძარცვული აღმოჩნდა ისევე, როგორც სოფ. განთიადთან შესწავლილი ორწყლების №7 და დმანისის №1 ყორღანები. მიუხედავად ამისა, ამ სამარხების თიხის ჭურჭელი გარკვეულ წარმოდგენას მაინც იძლევა ყორღანთა ასაკსა და კულტურულ კუთვნილებაზე [კახიანი, ღლიღვაშვილი 2006: 205-239; Кахиანი и др. 1991: 51-59; Кахиანი и др. 1995].

ორმოიანი იყო ბოლნისის რაიონში, სოფ. წითელსოფელთან გათხრილი 2 ყორღანიც, რომელშიც ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა [Гогелия и др. 1986: 10-14].

მარნეულის რ-ში, სოფ. სადახლოსთან შესწავლილი ყორღანების უმეტესობას კი სამარხის ფსკერზე აღმოაჩნდა ურმის ბორბლების კვალი [Гогелия, Челидзе 1985: 13-16].

უფრო ადრე, 1965-1968 წწ., ამავე რაიონში, მარნეულის ველზე, გაითხარა ამ ხანის, ოღონდ სხვადასხვა კულტურის ნიშნების მატარებელი რამდენიმე ყორღანი, ძალზე საყურადღებო სამარხეული ინვენტარით [ჯაფარიძე 1975].

ადრებრინჯაოს ხანის არაერთი ათეული ყორღანული სამარხია გამოვლენილი იორ-ალაზნის აუზშიც. 1950-1951 წწ. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით შეისწავლა სამგორის ველზე, დაახლოებით ერთ ხაზზე განლაგებული სამი ყორღანიდან ერთ-ერთი – კოხრა გორა [საქართველოს არქეოლოგია 1992: 210]. ყორღანის ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა ხით ნაგები დასაკრძალავი კამერა მცირეოდენი სამარხეული ინვენტარით.

მახლობლად, სოფ. მარტყოფის მიდამოებში, 1978-82 წწ. და 1989-1990 წწ. თსუ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფართო მასშტაბის სამუშაოები აწარმოა, რის შედეგადაც გამოვლინდა ექვსი დიდი ზომის ყორღანი. ზოგიერთი ყორღანის დასაკრძალავი კამერა ორმოში იყო მოწყობილი, ზოგის კი მინისპირზე და თხელი ფიქალით ან ხის მორებით იყო ნაგები. ნაწილი ამ ყორღანებისა „ბედენის“, ნაწილი კი „მარტყოფულ“ მასალას შეიცავს [ჯაფარიძე 1998: 68-69].

უფრო აღმოსავლეთით, კახეთის სიღრმეში, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანების სისტემატურ კვლევას უკვე ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში კახეთში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ რეგიონში მიკვლეული და შესწავლილი იქნა სხვადასხვა ტიპის მრავალი ყორღანული სამარხი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გრანდიოზულობითა და მდიდრული სამარხეული ინვენტარით გამორჩეული ანანაურის, ბაკურციხისა და წნორის ჯგუფის ყორღანები. მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ანაგის, მალაროს, ზეიანის და სხვა ყორღანების გათხრებსაც [კ. ფიცხელაურის, შ. დედაბრიშვილის და ბ. მაისურაძის გათხრები].

ძალზე წარმატებული აღმოჩნდა ლაგოდეხის რაიონში, სოფ. ჭაბუკიანთან წარმოებულ კვლევაც. 2012 წელს აქ შესწავლილი იქნა ერთი დიდი (ანანაურის №3), მახლობლად კი შედარებით მომცრო ყორღანი. ბედენის კულტურის ამ ყორღანებში, ხის ძელებისაგან აგებულ დასაკრძალავ კამერაში აღმოჩნდა ხის ოთხთვალა ურმის ნაშთები, ოქროს მძივ-სამკაული, თიხის ჭურჭელი, ქვის ისრის პირები, სხვადასხვა მცენარეთა თესლი, ხილის ნაშთები და სხვ. [მახარაძე, მურვანიძე 2014: 50-68; მახარაძე, მურვანიძე 2014: 69-80].

ძვ. წ. III ათასწლეულის მინურული ხანის რამოდენიმე ყორღანია გათხრილი თიანეთის რაიონში, ივრის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ [მირცხულავა 2011].

შიდა ქართლში გამოვლენილი ყორღანებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია 1938-1940 წწ. ს. მაკალათიას მიერ სოფ. ტყვიავთან შესწავლილი სამი ყორღანი, მცირეოდენი სამარხეული ინვენტარით [მაკალათია 1943].

მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა გორის არქეოლოგიურ ექსპედიციას 1981 წელს სოფ. ხელთუბანთან, სადაც რამოდენიმე ყორღანი იქნა გათხრილი [საქართველოს არქეოლოგია 1992: 213]. ამავე რაიონში, სოფ. თედონმინდასთანაც აღმოჩნდა ერთი ორმოიანი ყორღანი საინტერესო სამარხეული ინვენტარით [Миндиашвили 2004; 94-95].

ბედენის კულტურის მასალის შემცველი ყორღანი გაითხარა 1983 წელს არაგვის ხეობაში, სოფ. აბანოსხევთან [Gogochuri 2008: 37-62].

ადრებრინჯაოს ხანის ორი ყორღანი იქნა მიკვლეული მცხეთის რაიონში, სოფ. ნიჩბისთან, ადგილ ნაზვრევში. ორივე ყორღანს აგებულებით და სამარხეული მასალით უახლოვებენ თრიალეთის ადრეულ ყორღანებს [სადრაძე და სხვ. 2007: 49-52].

ამავე რაიონში, ნარეკვავის სამაროვანის №62 კოლექტიურ სამარხს, ძეგლის გამთხრელები, არც თუ უსაფუძვლოდ, დაზიანებულ ყორღანად მიიჩნევენ [სადრაძე და სხვ. 2007: 53-58].

მესხეთ-ჯავახეთში სადღეისოდ ორიოდე ყორღანია ცნობილი. ერთი ქვაყრილიანი ყორღანი გაითხარა ნინონმინდის რაიონის სოფ. სათხესთან, წარმოდგენილი მცირეოდენი სამარხეული ინვენტარით [Pearce at al 1992: 17-19]. ქვაყრილიანი იყო აქვე, ფარავნის ტბის მახლობლად შესწავლილი მეორე ყორღანიც, რომელშიც თიხის ჭურჭლის გარდა, ოქროს ხვია და ხის ოთხბორბლიანი ეტლის კვალიც დადასტურდა [კ. კახიანის გათხრები]. ბორჯომის რაიონში, ადგილ კოდიანზეც დაფიქსირდა ყორღანი, რომელიც მარტყოფულ ჯგუფს განეკუთვნება [Квавадзе и др. 2004: 438-449].

დასავლეთ საქართველოში ყორღანები ზემო იმერეთის, საჩხერის გარდა, რომელთაც ყორღანებად პირობითად უფრო მიიჩნევენ [მახარაძე 1994: 69], მხოლოდ აფხაზეთში გვხვდება, დოლმენური სამარხების გავრცელების ზონაში, ისიც ერთეული რაოდენობით [Цвинария 1990].

ყორღანული ტიპის სამარხის გავრცელება საქართველოში ტრადიციულად ადრებრინჯაოს ხანას უკავშირდება. მაგრამ ბოლო ხანების აღმოჩენებმა კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში, იორამისგორაზე, ახლებურად დააყენა ეს საკითხი – ნაცვლად ადრებრინჯაოს ხანისა, ყორღანის პირველი გამოჩენის დრო ენეოლითით, გვიანურეკული ხანით განისაზღვრა [Makharadze 2008: 67]. ეს კი ის დროა, როცა შეინიშნება კავკასიაში სამხრეთული წარმომავლობის ურუკის კულტურის მომძლავრება, რომელთანაც დაკავშირებულია არა ერთი ინოვაციური მოვლენა წინააზიასა და მასთან კულტურულად მჭიდროდ დაკავშირებულ რეგიონებში. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება პირველი ქალაქური ტიპის დასახლებები ძველ აღმოსავლეთში, ვითარდება მეტალურგია, ხმარებაში შემოდის ჩარხზე ნაკეთები მოუხატავი თიხის ჭურჭელი, ვრცელდება ბორბლიანი ტრანსპორტი, გვხვდება პირველი წერილობითი ძეგლები. ურუკის ხანაში ფორმირდება შუმერის ცივილიზაცია. ურუკის კულტურის გავრცელება ძირითადად დასავლეთით, ანატოლიისკენ იყო მიმართული, იქიდან კი, სამხრეთი კავკასიის მხარეს [Чайлд 1956: 200; ჯაფარიძე 2011: 181].

დაკავშირებული იყო თუ არა ურუკის კულტურასთან საქართველოში ყორღანის ტიპის სამარხის პირველი გამოჩენა, მთლად ნათელი არ არის. საქართველოსთან მოსაზღვრე აზერბაიჯანის ვაკეზე ყორღანების გამოჩენას უკავშირებენ ჩრდილო კავკასიიდან მაიკოპური კულტურის ტრადიციების გავრცელებას [Ахундов 2010: 61-64]. აქვე გამოვლენილ სოიუგ-ბულაგის ყორღანებს კავკასიაში ყველაზე ადრეულად, ენეოლითური ხანისად მიიჩნევენ და ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურაში, აქედან გავრცელებულად თვლიან [Мусейбли 2005: 135-138]. აფშერონზე აღმოჩენილი ძვ.წ. III ათასწლეუ-

ლის შუახანების ყორღანების კერამიკის სიახლოვე მაიკოპურ და ლეილა-თეფეს კულტურის ნაწარმთან, ზოგს აფიქრებინებს აფშერონის, როგორც კავკასიაში დაკრძალვის ყორღანული წესის ადრეული ტრადიციების ერთ-ერთი ცენტრის არსებობაზე [Алиев 2005:34]. ო. ჯაფარიძეს ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მიაჩნია ყორღანების გავრცელება აზერბაიჯანში, მათ შორის სოიუგ-ბულაგის სამაროვანზეც, რომელსაც მაიკოპის კულტურის ხანისად თვლის და ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებს უკავშირებს. სოფ. კავთისხევის იორამისგორის ყორღანს იგი სოიუგ-ბულაგის თანადროულად განსაზღვრავს [ჯაფარიძე 2011:191]. არსლანთეფეს ნასახლარზე, რომელსაც იორამისგორის ყორღანს უახლოვებენ, მტკვარ-არაქსის კულტურა პირველად ჩნდება ურუკულ კერამიკასთან ერთად უკვე VII პერიოდის დასასრულს, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში [ქავთარაძე 2006: 116-117]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არსლანთეფეზე გვიანურუკული ხანის კერამიკასთან თანაარსებობს განვითარებული ეტაპის მტკვარარაქსული ნაწარმი [Palumbi 2011: 47-54], რომელსაც საქართველოში კიდევ უფრო ადრეული დიდუბე-კიკეთის ეტაპი უძღვის წინ, საფიქრებელია, რომ კავთისხევის ყორღანი დროით რამდენადმე უნდა ჩამორჩებოდეს დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლებს. სწორედ ამ ადრეულ ეტაპს მიაკუთვნებენ სამხრეთ საქართველოს ქვის აკლდამებს, ზედ ზოგჯერ მცირე ქვაყრილით, რომელთა მსგავსება კავთისხევის სამარხთან, თითქოს არ უნდა გამორიცხავდეს ყორღანის ტიპის სამარხის გაჩენას მტკვარარაქსულ წიაღში მითუმეტეს, რომ კავკასიის სამხრეთით ამგვარი სამარხი თითქმის უცნობია. ნაკლებადაა იქ აკლდამაც და რაც არის, ისიც განსხვავებული ხერხებითაა ნაგები [Мусейбли 2005: 135-138; შანშაშვილი 2010: 155]. რაც შეეხება ბერიკლდეებს, რომელთანაც ასევე აახლოვებენ კავთისხევის ყორღანს, აღნიშნავენ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ფენის დარღვევას გვიანურუკული კულტურით [ყიფიანი 2002: 16]. ასე, რომ კავთისხევის ყორღანის სიახლოვე არსლანთეფესა და ბერიკლდეებთან, არ უნდა გამორიცხავდეს ყორღანული ტიპის სამარხის ადგილობრივად, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის – დიდუბე-კიკეთის ხანაში ჩამოყალიბების შესაძლებლობას. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ არც საკუთრივ დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლების ადრეულობის საკითხია სადღეისოდ ბოლომდე გარკვეული. ქვემო ქართლის №3, აშკარად მოგვიანო კონსტრუქციის ყორღანში, ადრეული იერის თიხის ჭურჭლის აღმოჩენამ საეჭვო გახადა თვით დიდუბე-კიკეთის კერამიკის ადრეულობაც. გამოითქვა მოსაზრება, რომ კავკასიის რომელიღაც პერიფერიულ ნაწილში ძველთაგანვე შემორჩენილი ადრემტკვარარაქსული ელემენტების ხანგრძლივი შემონახვა დასაშვებს ხდის მათ სპორადული გამოჩენის შესაძლებლობას სამხრეთი კავკასიის ყორღანებში [ქავთარაძე 1981: 71]. ალბათ, ანალოგიურად უნდა აიხსნას ადრეული იერის კერამიკის არსებობა აზერბაიჯანის [Ахундов 2001:72-73] და საქართველოს მოგვიანო ხანის ზეიანის №2, ენამთის №1, მაღაროს და სხვა ყორღანებშიც. ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვევა შესაბამისი სტრატეგრაფიული მონაცემების შემცველი ახალი ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის შემდეგ. მანამდე კი უნდა გავიზიაროთ მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ყორღანული ტიპის სამარხი დამახასიათებელი არ არის და რომ ადრეული იერის მტკვარარაქსული კერამიკის შემცველი მოგვიანო კონსტრუქციის მქონე ყორღანებიც ადრეყოღანულ კულტურაში უნდა გაერთიანდეს და მარტყოფული ჯგუფის ყორღანებში გამოყოფილ სამგორისა და მარტყოფის ქვეჯგუფებს [ჯაფარიძე 1998: 143], დაემატოს კიდევ ერთი – ე.წ. არქაულკერამიკიანი ქვეჯგუფი.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ადრეულ ყორღანებში ორ ჯგუფს გამოყოფენ – მარტყოფულს და ბედენურს. აღნიშნავენ მათ შორის საერთოს არსებობას

ძირითადად დაკრძალვის ყორღანულ წესში, კულტურის ხასიათში კი საკმაო სხვაობას ხედავენ. მარტყოფული ყორღანები ინვენტარის ერთგვაროვნებითა და სიღარიბით ხასიათდება. სამარხეული ინვენტარის მიუხედავად, ყორღანში, ჩანს გამორჩეული პირი იყო დაკრძალული, რომელიც ქონებრივად ჯერ კიდევ რიგით წევრთაგან არ გამოირჩეოდა. რამდენადმე მოგვიანებით მდგომარეობა იცვლება – ჩნდება ქონებრივად დანიშნულებული პირი, რომელსაც უკვე მდიდრული და მრავალფეროვანი ინვენტარი აქვს ჩატანებული [ჯაფარიძე 2006: 314-316]. მარტყოფულ ყორღანებში სამარხეული კამერა ხშირად მინისპირზე გამართულ ხის ნაგებობას წარმოადგენს. არის ქვის ნაგებობაც. პარალელურად გვხვდება ორმოში გამართული დასაკრძალავი კამერაც. ისე ჩანს, რომ უკანასკნელი უფრო მრავალრიცხოვანი ტიპი უნდა იყოს სამარხისა.

მარტყოფული ყორღანებისათვის ძალზე დამახასიათებელია მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი, შემკული ჭრილი და ნაკანრი გეომეტრიული სახეებით. გვხვდება ფრინველის სტილიზებული გამოსახულებაც. ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს გვიანმტკვარარაქსულ ჭურჭელთან როგორც ფორმის, ისე ორნამენტის ხასიათით და მის ტრადიციებზე აღმოცენებული ჩანს [Куртин 1941: 104; ჯაფარიძე 1998: 71]. ამგვარი ჭურჭელი მტკვარ-არაქრის კულტურის შიდაქართლური წრისათვის დამახასიათებელი ფორმისა და სამხრეთული ორნამენტის შერწყმის შედეგად ჩანს ჩამოყალიბებული, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სადაც ამ კულტურის ორივე ეს ვარიანტი უკვე იყო გავრცელებული [Орджоникидзе 2010: 238-240].

მარტყოფულ ყორღანებში ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ – სამგორის და მარტყოფის. პირველ ქვეჯგუფში, გარდა სამგორისა, თრიალეთის ყორღანების ნაწილსაც აერთიანებენ. ივრისპირეთის ყორღანებში თიხის ჭურჭელი უფრო მრავალფეროვანია. მსხლისებრი ფორმის გარდა, აქ ვხვდებით ბიკონუსურ და კვერცხისებრი მოყვანილობის ჭურჭელსაც. შიდა ქართლში კი ამ ტიპის კერამიკა, გარდა მსხლისებრი ფორმისა, არ გვხვდება [საქართველოს არქეოლოგია 1922: 127]. მესხეთშიც შიდა ქართლის მსგავსი სურათი ჩანს – ამირანის გორის მოგვიანო სამარხებში გვხვდება ამ ფორმის ჭურჭელი. კოდიანსა და ფარავანზე გათხრილი ყორღანებიც მსგავს თიხის ჭურჭელს შეიცავს. იშვიათად, ასეთივე ჭურჭელია აღმოსავლეთ კახეთშიც — დალის მთისველის №1 ყორღანის ჭურჭელი სრულად იმეორებს შიდა ქართლისა და მესხეთის ხელადების ფორმას. ამიტომ, ამ ყორღანის მიკუთვნება ბედენის კულტურისადმი [ასათიანი, მაისურაძე 1992: 165], გაუმართლებლად მიგვაჩნია.

მარტყოფული ქვეჯგუფის ყორღანებს აერთიანებს შავი ფერის თიხის ჭურჭელი. აქ უფრო მეტად მოზრდილი დერგისმაგვარი ფორმები გვხვდება. მსხლისებრი ფორმის ჭურჭელთან ერთად არის ბიკონუსური მოყვანილობის ტოლჩაც, რომელიც მხოლოდ ამ ეტაპის ყორღანებისათვის არის დამახასიათებელი და არ გვხვდება არც წინარე და არც მომდევნო ხანის კულტურებში [ჯაფარიძე 1998: 70]. ივრისპირეთში ამ ყორღანების უახლოეს ანალოგიას მაღაროს ყორღანი წარმოადგენს. იგი აგებულია და სამარხეული ინვენტარით ბევრ საერთოს პოულობს მარტყოფის ყორღანებთან. ამავე ჯგუფს უახლოვებენ კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილ მომცრო ზომის ორმოიან ყორღანებსაც [ჯაფარიძე 1998: 49].

მარტყოფულ ჯგუფს მიაკუთვნებენ ანანაურის №2 ყორღანის ნაკანრით შემკულ კათხას [ფიცხელაური 2013: სურ. 3-12], მსგავსს სომხეთის ნორ-ოშაკანის ცალისა [Smith at al 2009: Fig. 9-F]. ამ ჭურჭლის ანალოგებს ვხედავთ ციხიაგორის B₂ ფენაშიც [მახარაძე 1994: ტაბ. XXX – 2]. მარტყოფულთან სიახლოვეს იჩენს ანანაურის №3 და ჭინჭრიანიგორის ბედენური ყორღანების თიხის მოზრდილი, პირვინრო ჭურჭელიც, ქვემოთ

ძაბრისებურად გაფართოებული ყელით და რელიეფური სპირალური ორნამენტის არსებობით [მახარაძე, მურვანიძე 2014: ტაბ VII]. ფორმითა და ორნამენტის ხასიათით იგი მსგავსია საჩხერის ზოგიერთი მოზრდილი ჭურჭლისა [ჯაფარიძე 1955: ტაბ XVIII – XIX] და ღრმახვეისთავის მოგვიანო ხანის კომპლექსების კერამიკისა [აბრამიშვილი და სხვ. 1980: ნახ. 10]. მარტყოფულში უნდა გაერთიანდეს არქაული მტკვარარაქსული იერის მქონე თიხის ჭურჭლის შემცველი ქვეჯგუფიც: ქვემო ქართლის №3, ენამთის №1, ზილიჩას №4, ზეიანის №2 და სხვა ყორღანები, რომელთა არაკერამიკული ინვენტარიც ამ ყორღანების ფაქტობრივ მოგვიანო ასაკზე მიუთითებს ისევე, როგორც თანმხლები თიხის ზოგიერთი ჭურჭელი. ენამთის №1 ყორღანის ყელვინრო და განიერკორპუსიანი ჭურჭელი ანალოგებს პოულობს სამგორის, ნაზვრევის №1, ქვემო ხანდაკისა და თეთრიქვების №4 ყორღანის ჩაშვებული სამარხის მასალებში და ცხადყოფს ამ ძეგლებზე არქაული კერამიკული ნიშნების შემონახვას. ამგვარ ჭურჭელს უახლოვებენ ჩრდილოკავკასიურ ცალეებს [ჯაფარიძე 2003: 138].

მარტყოფის ხანაშივე, ქონებრივი უთანასწორობის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, ჩნდება მდიდრული სამარხეული ინვენტარის შემცველი გრანდიოზული ყორღანებიც, გამართული გამორჩეული პირისთვის. მნიშვნელოვნად წინაურდება მეტალურგია, თავს იჩენს ბრინჯაოსგან დამზადებული იარაღის სხვადასხვა ტიპი; ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს სამკაული. გვხვდება ჩრდილოკავკასიისა და ჩრდილოშავიზღვისპირეთის სამარხებისათვის დამახასიათებელი ცხოველის კბილებისა და ეშვების საკიდები, სრულიად უცნობი აღმოსავლეთი ამიერკავკასიისათვის [ჯაფარიძე 2003: 136-143].

მარტყოფული ყორღანებისათვის ქვის ისრისპირი არაა დამახასიათებელი. სამაგიეროდ, ფართოდაა წარმოდგენილი ბრინჯაოს პირამიდულთავიანი ისრისპირი, უცნობი როგორც წინარე, ისე მომდევნო – თრიალეთის კულტურებისათვის [ჯაფარიძე 1998: 82]. იშვიათად, მას ვხედავთ ბედენურ კომპლექსებშიც. მაგრამ ეს იარაღი უფრო მარტყოფის ჯგუფისათვისაა დამახასიათებელი. მრავლადაა ქვის, პასტისა და ქარვის სხვადასხვა ფორმის მძივები და სამკუთხა საკიდები. უკანასკნელი კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსული სამარხებიდანაც. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მარტყოფში გვხვდება სადაფის სამკაული [ჯაფარიძე 1998: 116].

მარტყოფული და ბედენური ყორღანები, ჩანს, ერთდროულად ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე და ერთხანს თანაარსებობს მასთან. ორივე ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოს დაახლოებით ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, როგორც მთაში, ისე ბარშია გავრცელებული. თუმცა, ზოგან, თითქოს ბედენური ყორღანები უფროა დამკვიდრებული. ბედენის პლატოზე ძირითადად ამ ჯგუფის ყორღანებს ვხედავთ. არის ის შიდა ქართლშიც, სადაც ამ კულტურის ნასახლართა უმეტესობაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბედენურ ჯგუფშიც მიცვალებულებს ყორღანებში კრძალავდნენ, შეინიშნება სხვაობაც — ბედენური ყორღანები ძირითადად ორმოშია გამართული. აქ მიცვალებულებს ხშირად ხის სარეცელზე, ოთხთვალა ეტლთან ერთად ასაფლავებდნენ. ზოგჯერ სამარხ ორმოში ჩადგმულია ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან შეკრული კამერა, მსგავსად ჩრდილო კავკასიაში, დაღესტანში – უტამიშთან გათხრილი ყორღანისა და ძველი ორმოსამარხების კულტურისა, სადაც ორმოს კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ხის ძელებით იყო შემაგრებული. ჩრდილოეთის კიდევ უფრო ფართო რეგიონში – აზოვისპირეთში, შავიზღვისპირა სტეპურ ზოლში, ვოლგისპირეთში, კავკასიისპირეთში გათხრილ ყორღანებში ჩანს ბედენის მსგავსად მიცვალებულის დაკრძალვა ეტლთან ერთად, რაც განსაკუთრებით ყუბანისპირეთში, ნოვოტიტაროვკის ყორღანებში შეინიშნება, სადაც თითქმის ყველა სამარხშია ეტლის ნაკვალევი. ბედენური ყორღანის

სამარხ კამერაში ან მთლიანი ეტლია ჩატანებული, ან კიდევ ეტლის რომელიმე ნაწილი, ძირითადად ბორბალი. ზოგჯერ ურმის მხოლოდ კვალია შემორჩენილი. ეტლების კონსტრუქცია გამორიცხავს მათ პრაქტიკულ დანიშნულებას. იგი უფრო მიცვალებულისათვის გასატანებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი [ჯაფარიძე 1998: 99].

საიდან გავრცელდა ეტლი, საბოლოოდ დადგენილი არ არის. ფიქრობდნენ, რომ ოთხთვალა ეტლი ერთი ცენტრიდან, ძველი აღმოსავლეთიდან ვრცელდება [Чайлд1956: 358]. თუმცა, საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ის აღმოსავლეთ ევროპაშიც, სადაც მიცვალებულთან ეტლის ჩატანების მრავალი შემთხვევაა ცნობილი. ვარაუდობდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ეტლის გავრცელების ერთ-ერთი გზა წინა აზიიდან კავკასიაზე გადიოდა. თუმცა, არც კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარე, შუა აზიაა ამ მხრივ ყურადღების მიღმა დარჩენილი. არის საპირისპირო მოსაზრებაც – ეტლის შუა ევროპიდან სამხრეთ რუსეთის სტეპების, ჩრდილო და სამხრეთი კავკასიის გავლით წინა აზიაში გავრცელების თაობაზე [Резепкин 2012: 114]. ფაქტი ისაა, რომ ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში და უფრო სამხრეთით მიმდებარე მხარეშიც, კავკასიაზე რამდენამდე უფრო ადრე ვრცელდება [Гей 2000]. აღსანიშნავია, რომ ბედენისა და ჩრდილოური კულტურების ყორღანთა ინვენტარის შემადგენლობაც ხშირად საკმაოდ ახლოა [ჯაფარიძე 1998: 105]. ყორღანი რომ ჩრდილოური მოვლენაა, ეჭვსგარეშეა. საფიქრებელია, რომ სამხრეთ კავკასიაში, ყორღანულ სამარხში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესიც ჩრდილოეთიდან მომდინარეობს, სადაც ეს წესი საკმაოდ ადრე ჩანს. საქართველოს სამხრეთიდან მოსაზღვრე რეგიონებში ხის ოთხთვალა ეტლი არაა აღმოჩენილი. საგულისხმოა, რომ სამხრეთ კავკასიაში, ყორღანებში იმთავითვე ხის ოთხთვალა ეტლი ვრცელდება. კავკასიის ჩრდილოეთით აღმოჩენილი ხის ყველა ეტლიც ოთხთვალაა. წინარე – მტკვარ-არაქსის კულტურაში ხის ოთხთვალა ეტლი უცნობია. რთული რელიეფის გამო საქართველოში უფრო ხის ოთხთვალა ურემი უნდა ყოფილიყო სამეურნეო ხმარებაში. ამგვარი ურემი აქ დღემდე გამოიყენება, ხოლო ოთხთვალას გამოიყენებას ქართულ ისტორიულ სინამდვილეში არ ადასტურებენ [მირცხულავა 2011: 109]. ოთხთვალას კი იყენებდნენ მხოლოდ დაკრძალვის ცერემონიაში, რაც უცხო კულტურას – ბედენს უკავშირდება. რამდენადაც ეს ტრადიცია მყარად იყო ფეხმოკიდებული სამხრეთ რუსეთის სტეპების კულტურებში, ბედენის კულტურაც აგრძელებს იმ ტრადიციას, საიდანაც იქნა ის გადმოღებული [ჯაფარიძე 2006: 337; მირცხულავა 2011: 113]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული მოსაზრება ოთხთვალა ეტლის მხოლოდ ბედენის კულტურის კუთვნილების თაობაზე, როგორც ჩანს, გადახედვას საჭიროებს, რადგან მარტყოფულ ყორღანებში მისი არსებობის არაერთი შემთხვევაა უკვე ცნობილი. თედონმინდის, ზეიანის 1, ჩიხისწყლის, თრიალეთის XXIV და ფარავნის ყორღანებში დადასტურებული ფაქტები მონიშნავს, რომ ხის ოთხთვალა ეტლით დაკრძალვის წესი არც მარტყოფული ჯგუფის სამარხებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. და მაინც, მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვა უფრო მეტად ბედენის კულტურაშია ფეხმოკიდებული. სწორედ ბედენური ყორღანების სამარხ კამერაში, რომლის იატაკი და ხის ბოძებზე დაყრდნობილი გადახურვაც ძელური იყო, ხის სარეცელზე, ხის კუბოში ჩასვენებული მიცვალებული ხის ოთხთვალა ეტლზე იყო დასვენებული. თუმცა, ბედენურ ყორღანებში ჩადგმული ხის ნაგებობა, არ უნდა იყოს უმთავრესი დასაკრძალავი ნაგებობა ამ კულტურისა. ძირითადი კი ორმოში გამართული, ზოგჯერ ხით გადახურული სამარხი ჩანს. იშვიათად, გვხვდება მარტყოფული ჯგუფის ყორღანებისათვის კარგად ცნობილი მინისპირზე გამართული ხის ნაგებობიანი ყორღანიც (ბაკურციხე). არის აგრეთვე მინისპირზე, ყრილის ქვეშ მოქცეული მტკვარარაქსული ტიპის ქვის აკლდამაც (კატრიანის №1

და ოხერახევის ყორღანები) [Rova at al. 2010; Makharadze 2008]. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიური რიგი ყორღანების მსგავსად, სამარხ ორმოში ჩადგმული ხის დასაკრძალავი ნაგებობა მხოლოდ ბედენის კულტურას ახასიათებს. [ჯაფარიძე 1998:56].

ბედენური ყორღანების სამარხეული ინვენტარიც საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდრულია. თავისებურია თიხის ჭურჭელი, მკვეთრად განსხვავებული მარტყოფული ყორღანების ნანარმისაგან. მართალია, ისიც ხელით ნაძერწია, მაგრამ გამოირჩევა ფორმათა გასაოცარი სინატიფით, მრავალფეროვნებით. ჭურჭლის ზედაპირის სიკრიალე მეტალის ბზინვარების დონემდეა მიყვანილი. იშვიათად გვხვდება მოხატული ჭურჭელიც [ჯაფარიძე 1998: 127].

როგორც მარტყოფის, ისე ბედენის ყორღანების ლითონის ნივთები ძირითადად დარიშხანიანი სპილენძისგანაა დამზადებული, რითაც ჩანს კავშირი წინარე კულტურის ლითონის ნივთებთან [ჯაფარიძე 1998: 124]. თუმცა, ბედენურ ძეგლებზე ჩნდება კალიანი ბრინჯაოც. არაა ერთიანი აზრი ბედენურ კულტურაში კალის გამოჩენასთან დაკავშირებით. ბოლო დრომდე მიჩნეული იყო, რომ ეს ლითონი ჩვენში ანატოლიიდან შემოდის [Дедришвили 1979: 60]. თუმცა, ამ თვალსაზრისით არ გამოირიცხავენ აღმოსავლეთ ევროპასაც [ფიცხელაური 2012: 64-86].

ბედენურ სამარხებში გვხვდება სხვადასხვა ფორმის ოქროსა და ვერცხლის მძივები, საკიდები, საკინძები. წნორის ყორღანში ნაპოვნია ლომის ოქროს პატარა ქანდაკება – პირველი სკულპტურული გამოსახულება სამხრეთ კავკასიაში. ოქრომჭედლობის განვითარება წინააზიასთან კავშირში განიხილება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ნივთებს არ ეძებნება პირდაპირი ანალოგი არც სამხრეთით, არც ჩრდილოეთით. აღნიშნავენ სხვაობასაც მარტყოფული და ბედენური ძვირფასი ლითონის ნანარმს შორის [ჯაფარიძე 1998: 120], რაც სხვადასხვა საიუველირო ცენტრის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

ცნობილია, რომ ადრებრინჯაოს ხანაში, ლითონნარმოების სფეროში, შეინიშნება მკვეთრი ცვლილებები ევრაზიის ფართო სივრცეზე, რომლის უმთავრეს შედეგს წარმოადგენს ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინციის ჩამოყალიბება. მან მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია შავი ზღვის გარშემო, სადაც ფართოდ ვრცელდება დარიშხანიანი ბრინჯაო – ყველაზე დამახასიათებელი შენადნობი ამ ზონაში, მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც, მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში. მძლავრი მეტალონარმოების კერის არსებობას აღნიშნავენ ადრეული ყორღანების დროის საქართველოშიც, სადაც ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება დარიშხანიანი ბრინჯაო. მაგრამ ბედენის კულტურაში თავს იჩენს კალიანი ბრინჯაოც. შეინიშნება მთელი რიგი სიახლეები ლითონის ნივთების ფორმაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სატევრისპირი, ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული იარაღი ადრეული ყორღანების ორივე ჯგუფში.

უმთავრესად გვხვდება ყუნწიანი სატევრისპირი, ძირითადად ყუნწზე ნახვრეტის გარეშე, რაც გარკვეულად აკავშირებს მას წინარე ხანის სატევრის პირთან. თუმცა, საერთო იერით მათ შორის საკმაო განსხვავებაცაა. ამავე პერიოდში ჩნდება ყუნწზე ნახვრეტის მქონე სატევრისპირიც. ადრეულ ყორღანებში აღმოჩენილი სატევრისპირები 7 ტიპად იყოფა (ადრებრინჯაოს ხანის საქართველოში გავრცელებული სატევრისპირები დეტალურადაა მოწოდებული სამეცნიერო ლიტერატურაში [ლამბაშიძე და სხვ. 2010]. ჩვენ მხოლოდ რამდენადმე გადავაჯგუფეთ ისინი ტიპოლოგიური სურათის უკეთ გამოკვეთის მიზნით):

I ტიპში (ტაბ LXXXVI) ერთიანდება სატევრისპირი მაღალი და ფართო სატარე ნაწილით, რომელიც თანდათანობით გადადის დაქანებულ, მომრგვალებულ მხრებზე. მისი

ფართო ტანი ქვემოთ ოდნავ ვიწროვდება და ძირითადად მომრგვალებული წვერით თავდება. ამ ტიპის სატევრისპირს ვხვდებით ბედენის კულტურის თრიალეთის XL და კაჭრეთის ყორღანის №4 ორმოსამარხში [გოგაძე 1972: ტაბ. 12-4; ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 08]. არის ის წეროვნის 49 სამარხში [სადრაძე და სხვ. 2007: ტაბ. XIII]. ასევე, ორჭოსნის ნასახლარზე [ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010: ტაბ. II]. ცნობილია ის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზეც – ხიზანაანთ გორის D ფენიდან, ამირანის გორიდან, გუდაბერტყადან, პასიეთის სამაროვნიდან [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 06,08,010]. მსგავს იარაღს ვხედავთ ჩრდილო კავკასიაშიც – მაიკოპის კულტურაში, ბამუტისა და კიშპეკის დიდ ყორღანში [Chernikh 2002: Fig. 5-14; Мунчаев 1975: рис. 72-10; Кореневский 2004: рис. 24-4.] რამდენიმე მიახლოებული ფორმა, შედარებით გრძელი პირით, ცნობილია ანატოლიაშიც, ბაინდირკოიზე [Stronach 1957: Fig. 1-6].

უფრო მრავალრიცხოვანია სატევრის II ტიპი, (ტაბ LXXXVI), რომელიც I ტიპის იარაღისაგან განსხვავდება ძირითადად უფრო ვიწრო გრძელი პირითა და ვიწრო ყუნწით. იგი ძირითადად ბედენური წრის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი – ბაკურციხის, ბერიკლდეების №1 და კაჭრეთის ყორღანებიდან [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 08]. ბედენის №2 ყორღანში ამ ტიპის ორი სატევრისპირი უნდა იყოს [გობეჯიშვილი 1981: ტაბ. X-5,11]. არის ის ბედენის № 12 ყორღანშიც, რომელსაც ყველაზე მეტად ბაკურციხის იარაღს უახლოვებენ [შატბერაშვილი და სხვ. 2014: ტაბ. XII-3]. ამავე ტიპს უნდა ეკუთვნოდეს აქვე, №1 ყორღანში ჩაშვებული სამარხის კოროზირებული ცალიც [შატბერაშვილი და სხვ. 2014: ტაბ. IV-11]. ასევე, ქვემო ქართლის №9, სასირეთისა და ტყემლარას IV ყორღანის ჩაშვებული სამარხის ცალებიც [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 09]. ცნობილია ის ხაჩენაგეტის №2 [Кушнарева 1954: рис. 1] და ჩრდილო კავკასიის – კიშპეკისა და ბამუტის ყორღანებიდან [Кореневский 2004: 24-13; Мунчаев 1986: рис 3-5]. მას ვხვდებით ძველი ორმოსამარხებისა და ნოვოტიტაროვკის ყორღანებშიც [Гей 2000: рис. 46]. ასევე, ბალკანო-კარპატისპირეთში [Chernick at al. 2002: Fig. 4-54]; იშვიათად, ანატოლიაშიც [Stranach 1957: Fig. 2-1].

ამგვარი სატევრისპირი მარტყოფული ყორღანებისთვის უცხოა. სამაგიეროდ, მსგავსი ფორმა ცნობილია აფხაზეთში, დოლმენების გავრცელების არეიდან – ეშერის №5, 6 დოლმენებიდან, სადაც მასთან ერთად ვხედავთ III ტიპის (ტაბ LXXXVI) სატევარსაც, რომელსაც აქვს მაღალი და ვიწრო ყუნწი, ზედა ნაწილში გაგანიერებული პირი ქვემოთ თანდათან ვიწროვდება და წამახული წვერით თავდება. იგი ცნობილია მარტყოფის №2, 4, მაღაროს, დალისმთის ველის № 6, ხრამების № 1, თედონმინდის № 1 და თრიალეთის XIX ყორღანებიდან [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 09, 011]. მაგრამ მხოლოდ მარტყოფული ჯგუფისათვის არაა ის დამახასიათებელი. მას ვხედავთ ასევე ბედენურ ყორღანებშიც აბანოსხევიდან, ქვემო ქართლის №6 ყორღანიდან, ბერიკლდეების ნასახლარიდან, მარტყოფის № 5 ბედენური ყორღანიდან; ასეთივე უნდა იყოს წნორის № 1 ყორღანის ნაკლული სატევრისპირიც. მას ვხვდებით დასავლეთ საქართველოშიც – ეშერის № 4 დოლმენსა და ხუაპის ყორღანში [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 08, 09, 011]. ცნობილია ის აზერბაიჯანიდან, დაშიუზის № 6 ბედენის კულტურის ყორღანშიც [Ахундов 2001: 128 рис. 39].

IV ტიპი (ტაბ LXXXVI) გამოირჩევა ძალზე ფართო, თითქმის თანაბარი სიგანის პირით და არაპროპორციულად მოკლე და წვრილი ყუნწით. იგი უცნობია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. არც ანატოლიაში ჩანს თითქოს მსგავსი ფორმა. ადრეულ ყორღანებში კი მას ვხვდებით მარტყოფული ჯგუფის მაღაროსა და სამგორის, იშვიათად კი ბედენური ჯგუფის – ბედენის № 2 ყორღანში [ლამბაშიძე და სხვ.

2010: ტაბ. 09]. საქართველოს ფარგლებს გარეთ ამგვარ სატევარს ახლო პარალელი გააჩნია კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ძველი ორმოსამარხებისა და ნოვოტიტაროვკის ყორღანებში [Гей 2000: рис. 46]. როგორც IV, ისე III ტიპის სატევარი მნიშვნელოვნად განსხვავდება საჩხერის სამარხების ანატოლიური ტიპის სატევრისპირებისაგან.

V ტიპი (ტაბ LXXXVI) უყუნწო სატევრისპირს წარმოადგენს მოგრძო, ქვემოთ თანდათანობით შევიწროებული პირით. მას ვხვდებით როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე – ტყვიავის № 2, ქორეთისა და საჩხერის სამარხებში, ისე ადრეული ყორღანების სამარხულ ინვენტარშიც ხელთუბნის № 10, ქვემო ქართლის № 4 ყორღანებიდან [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 08-09]. უყუნწო სატევრისპირი უფრო ფართოდ იყო გავრცელებული მაიკოპის კულტურაში [Кореневский 2011: 43]; ასევე, ანატოლიაში [Stronach 1957: Fig. 1].

VI ტიპს (ტაბ LXXXVI) აქვს გრძელი და ფართო ყუნწი, რომელიც თანდათან გადადის დაქანებულ, რომბისებურ პირზე. იგი ცნობილია დალისმთის № 5, სადახლოს № 1 და 2 ყორღანებიდან. მათთან ერთიანდება გუდაბერტყას ზოგიერთი იარაღიც [ლამბაშიძე და სხვ. 2010: 166]. ანალოგიური ფორმის სატევრისპირია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც, ნოვოტიტაროვკის მესამე ეტაპის ძეგლებზე [Chernich 2002: Fig. 5 – 34, 57; Гей 2000: рис. 46]. მას ვხვდებით მოზდოკთან გათხრილ №3 ყორღანშიც [ჯაფარიძე 1998: 132]. არის ის ბალკანო-კარპატული მეტალონარმოების არეალზეც [Chernich 2002: Fig. 4 – 53]; ასევე, გეოი-თეფეს K ფენასა და სტეპანაკერტის ყორღანში [Кушнарева, Чубинишвили 1970: рис. 29 – 2; 35].

VII ტიპს (ტაბ LXXXVI) აქვს მოკლე და ფართო ყუნწი, რომელზეც ერთი სატარე ნახვრეტია დატანებული. პირი მას მოკლე და სამკუთხა ფორმისა აქვს. ასეთი სატევრისპირი ცნობილია ხოვლეს № 1 მტკვარ-არაქსულ სამარხში, დალისმთის № 9 და ზილიჩას № 2 ყორღანებში [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 011], მაიკოპის კულტურაში [Мунчаев 1975: рис. 41; Chernikh at al. 2002: Fig. 5-15]. ასევე, სტეფანაკერტისა და ხანკენდის ყორღანებში [Кушнарева, Чубинишвили 1970: рис. 29 – 1; Ахундов 2001: рис. XXIII - 11]. შედარებით განვითარებულია ანატოლიური სატევრისპირები, რომელთაც უფრო გრძელი პირი ახასიათებს [Stronach 1957: Fig. 1].

ადრეული ყორღანების სატევრისპირების შესახებ ლაპარაკია ს. კორენევსკის ნაშრომშიც. ის გამოარჩევს ფოთლისებურ სატევრებს და აღნიშნავს მათ ფართო გავრცელებას აღმოსავლეთი ევროპის სამხრეთში [Кореневский 2011: 52]. სატევრისპირების ტიპოლოგია ფართოდაა განხილული კ. კუმნარიოვასა და მ. რისინის ერთობლივ ნაშრომში. ავტორები ამ სატევრისპირებს 3 ტიპად ყოფენ: პირველ ტიპში ისინი აერთიანებენ მტკვარ-არაქსის კულტურაში ფართოდ გავრცელებულ საჩხერულ სატევრისპირებს, მათ შორის ლითონისტარიანსაც, რომელთა გავრცელებას ჩრდილოეთში უკავშირებენ სამხრეთის – ანატოლიის ზონას. რაც შეეხება მე-2 ტიპს, ფოთლისებრ სატევრისპირს (ჩვენი III ტიპი), რომელსაც ავტორები მხოლოდ მარტყოფის ჯგუფის სამ ყორღანში ხედავენ და რომელთაც სამხრეთ კავკასიაში არც მანამდე და არც მერე არ ჰქონიათ გავრცელება, მათი წარმომავლობის საკითხს ღიად ტოვებენ. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ ჩრდილო კავკასიაში მსგავსი ფორმის სატევრისპირი პირველად თავს იჩენს პოსტნოვოსვაბოდნაიას ეტაპზე და დამახასიათებელი ხდება ჩრდილოკავკასიური, დოლმენური და კატაკომბური სამარხებისათვის. ამგვარი სატევრის წარმოების ცენტრად მიჩნეულია ყუბანისპირეთი, ცენტრალური ჩრდილო კავკასია და კავკასიისპირეთი [Кушнарева, Рысин 2000: 75]. ჩრდილოეთის ამ ოლქებთან

შენიშნული ახლო პარალელების არსებობის მიუხედავად, ავტორები ირანში აღმოჩენილი აქადური ხანის ორიოდე ეგზემპლარისა და ელარის კოლექციაში მოხვედრილი ერთი ასეთივე იარაღის საფუძველზე, ამგვარი სატევრის გავრცელებას საქართველოში მაინც სამხრეთიდან – სომხეთის მთიანეთიდან და ირანიდან ვარაუდობენ, ხოლო მარტყოფს მიიჩნევენ ძველი აღმოსავლეთიდან ჩრდილო კავკასიაში ფოთლისებრი სატევრისპირის გავრცელების შუალედურ რგოლად, რაც არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ამგვარი სატევრისპირის ჩრდილოეთით გავრცელების დრო და მასშტაბები ამის საფუძველს არ უნდა იძლეოდეს. უფრო ისე ჩანს, რომ მარტყოფი მართლაც უნდა წარმოადგენდეს შუალედურ რგოლს ფოთლისებრი სატევრისპირის პირიქით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გავრცელების გზაზე. სწორედ გვიანორმოსამარხებსა და ადრეკატაკომბურ კომპლექსებში ვხვდებით მრავლად ფოთლისებრი სატევრისპირის არაერთ ეგზემპლარს [Мунчаев 1975: рис. 57; Кияшко 2002: рис. 28; Гей 2000: рис. 46]. ჩრდილოეთიდან ჩანს იგი გავრცელებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც. მურადაის სამარხში აღმოჩენილ ამგვარ სატევრისპირს უცხოოდ თვლიან სამხრეთი კავკასიისათვის, მის უახლოეს ანალოგებს კი ქედს იქითა მხარეში ხედავენ [Ахундов 2001: 79].

ადრეულ ყორღანებში გავრცელებული იყო ორგვარი ცული – ყუახვრელიანი და უხვრელო ბრტყელი ცული. ყუახვრელიანი ცული რამოდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი: I ტიპი ხასიათდება ვიწრო და გრძელი სატარე მილით, რომელზეც ზოგჯერ რამოდენიმე ირიბი რელიეფური პარალელური ზოლია გამოყვანილი, რაც მას წინააზიურ ფორმებთან აახლოვებს [Кушнарева, Рысин 2000: 68]. იგი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ყვირილის ზემო წელის აუზში [ჯაფარიძე 1976: 128]. მრავლადაა იგი აღმოსავლეთ საქართველოშიც, ძირითადად შიდა ქართლში. ცნობილია ის ივრის ხეობაში, ბადაანის ნასახლარზე [მირცხულავა 2011: 93]. არის ის ქორეთის № 1, ბედენური კერამიკის შემცველ სამარხშიც [ჯაფარიძე 1961: სურ. 29]. მისი ფრაგმენტი უნდა იყოს ბერიკლდეების ნასახლარზეც [ჯალაბაძე 1998: ტაბ. IX]. II ტიპის ცულის ყუა წინა მხრიდან დაქანებულია, უკანიდან კი მილისებურად გამოშვერილი. ცულის ტანი რკალისებრი მოყვანილობისაა, პირისაკენ გაფართოებული. ამ ტიპის ცულს ყუადაქანებულ – ყუამილიანსაც უწოდებენ [ჯაფარიძე 1998: 76]. იგი ცნობილია ძირითადად მარტყოფის № 4 ყორღანიდან (ტაბ VI).

რაც შეეხება III ტიპს (ტაბ V; XLIV). ისიც ყუამილიანია, მასიური. პირი მას გარედან ოდნავ მორკალული აქვს, ქვემოთ – გაფართოებული. წინააზიასა და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში ის არაა გავრცელებული. საქართველოს ფარგლებს გარეთ კი მას ძირითადად ჩრდილო კავკასიაში ვხვდებით. ზოგიერთი ავტორი რაიმე ხელშესახები ანალოგიის არ არსებობის მიუხედავად, ამგვარ ცულს მაინც სამხრეთიდან – წინა აზიიდან გავრცელებულად თვლის [Кушнарева, Рысин 2000: 72]. ამ ტიპის ცული ცნობილია გატინკალედან, ჩეჩნეთისა და დაღესტნის ძეგლებიდან [Археология 1994:323]. მრავლადაა ის აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოში – ბედენის № 5, ქვემო ქართლის № 9 და მარტყოფის № 3, 5 ბედენურ ყორღანებში. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცული მხოლოდ ბედენურ კომპლექსებში გვხვდება, რის გამოც მას ამ კულტურის კუთვნილებად მიიჩნევენ [საქართველოს არქეოლოგია 1992: 139]. იგი დასავლეთ საქართველოში, საჩხერის რაიონისკენაც იკვლევს გზას [Куптин 1949:71] როგორც ჩანს, მოსაზღვრე შიდა ქართლის ზონიდან, სადაც ამგვარი იარაღი კარგადაა ცნობილი კომპლექსგარეშე აღმოჩენებით [ორჯონიკიძე 2004: 146]. ამ თვალსაზრის-

ით საინტერესოა საჩხერეში, ქორეთის № 1 სამარხში აღმოჩენილი შიდაქართლურის მსგავსი შვერილებიანი ყურების მქონე ბედენური ჭურჭელიც. როგორც ჩანს, ბედენური ცულის დასამზადებლად იყო განკუთვნილი კიდევ უფრო დასავლეთით, შავიზღვისპირეთში, ისპანის ნასახლარზე აღმოჩენილი ხის შაბლონი [ორჯონიკიძე 2004: 146]. ბედენის კულტურის ელემენტების დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გადანაცვლება არაერთგზისაა აღნიშნული კოლხეთის ადრეული კულტურების მკვლევართა მიერ [Микеладзе 1990; ჯიბლაძე 1997: 107].

IV ტიპი – ყუახვრელიანი სეკირა ბედენის № 12 ყორღანში აღმოჩნდა. იგი ბრინჯაოსგანაა ნაკეთები, მთლიანად სხმულია, აქვს მრგვალი სატარე ხვრელი ყუაზე ჰორიზონტალური შვერილით, რომელზეც მცირე კოპია გამოსახული. შვერილი შემკულია ამოკანრული ხაზებითა და წერტილებით. ყუის მთელ სიმაღლეზე და პირის შიდა მხარეს ჩამოუყვება რელიეფური წინვისებრი ორნამენტი (ტაბ LVIII-1; LXXXVII-5). ამგვარ ცულს კავკასიაში მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში ვხვდებით. იგი ცნობილია აზერბაიჯანიდან, კუდურლუს № 14 ყორღანში [Ахундов 2001: 131 - 132], არის ის სომხეთშიც, ყარაშამბის ყორღანშიც [Кушнарева, Рысин 2001: 107]. ასეთი ცული წინააზიური წარმომავლობისაა. მესოპოტამიიდან იგი ვრცელდება ანატოლიისკენ და შესაძლოა, აქედან სამხრეთ კავკასიაშიც შემოდის [Stronach 1957: 122; შატბერაშვილი და სხვ. 2014: 84 - 85].

რაც შეეხება ბრტყელ ცულს, მას აქვს პირისკენ ოდნავ გაფართოებული მოგრძო ტრაპეციისებრი ფორმა. (ტაბ XXXVII; XXXIX; XLIV). წინარე ხანიდან ცნობილი ეს იარაღი, უფრო მეტად ბედენურ ყორღანებშია აღმოჩენილი. ფიქრობენ, რომ იგი ხის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. მსგავსი იარაღი ცნობილია ქვემო ქართლის № 9, ბედენის № 5, მარტყოფის № 5 ბედენური კულტურის ყორღანებიდან. მარტყოფულ ჯგუფში კი მას ვხვდებით მარტყოფის № 4 ყორღანში, სადაც სამი ამგვარი ცულია აღმოჩენილი [ჯაფარიძე 1998: 77]. ამ ცულმა ფართო გავრცელება ჰპოვა როგორც წინა აზიაში, ისე ევროპის ადრეულ კულტურებში. ადრეული ყორღანების ეს იარაღი თავისი პარამეტრებით ყველაზე მეტად შეესაბამება ჩრდილო კავკასიის – უსპენსკისა და პრივოლნოეს ცალებს [Кушнарева, Рысин 2000: 74].

ლითონის სხვა იარაღიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ღარიანი სატეხი. (ტაბ V; XXXIX; XLIV). ისიც ხით ხურობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ასეთ იარაღს მრავლად ვხვდებით ჩრდილო კავკასიაში, ევროპაში. ფართოდ იყო ის გავრცელებული წინა აზიაშიც [ჯაფარიძე 1998: 113]. საქართველოში ცნობილ ამგვარი იარაღის უმეტესობას ოთხნახნაგა თავი და ამოღარული სამუშაო პირი აქვს, ხშირად ოთხნახნაგა ტანით. სოლისებრი პირის მქონე სატეხებს პარალელი ეძებნება ანატოლიისა და მესოპოტამიის ძეგლებში. ამოღარულპირიანი სატეხები კი ხშირია ჩრდილო კავკასიაში [ლამბაშიძე და სხვ. 2010: 179]. ბედენურ კომპლექსში აღმოჩენილი სატეხები შედარებით მასიურია. მას ვხვდებით ბედენის № 2,5, ქვემო ქართლის № 9 და თრიალეთის L ყორღანებში. ამ სატეხებს ახლო პარალელები აქვს მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარებზე – ბადაანზე და ქვემო არანისში [საქართველოს არქეოლოგია 1992: 188]. ბედენური სატეხებიც თავისი პარამეტრებით ყველაზე მეტად შეესაბამება ყუბანისპირეთისა და აზოვისპირეთის ცალებს [Кушнарева, Рысин 2000: 75].

ადრეულ ყორღანებში ლითონის შუბისპირი სულ რამოდენიმე ცალია (ტაბ II) აღმოჩენილი, ყველა ბედენურ ძეგლზე. ორი შუბისპირი იყო ბაკურციხის ყორღანში. ერთს აქვს გრძელი, ქედიანი პირი, გრძელი სატარე ღერო, შემკული ნაჭდევი ტალისებრი ორნამენტით. ყუნწი ქვედა ნაწილში წახნაგოვანია, ბოლოსკენ წვრილდება

და მარყუჟისებურად არის დახვეული. შუბისპირს ტარზე წამოცმული ჰქონდა ვერცხლის გარსაკრავი. იგი კალიანი ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ამავე ყორღანის მეორე შუბისპირიც ქედიანია, ფოთლისებრი პირით. დანახნაგებული სატარე ღერო მთავრდება მავთულისებურად დანვრილებული და მარყუჟისებურად დახვეული ბოლოთი. ამ შუბისპირსაც ტარზე წამოცმული ჰქონდა ვერცხლის გარსაკრავი. მათი პარალელები ჩანს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში [Кушнарева, Рысин 2000: 78]. სამაგიეროდ, არ უჩანს ანალოგი სამხრეთში ხოვლეს ყორღანის № 2 სამარხში აღმოჩენილ ხელშუბისპირს, რომბისებრი მოყვანილობის თავით და მოგრძო ბრტყელი ყუნწით. ანალოგიური იარაღი სამხრეთ კავკასიაში არ არის. მაგრამ ფართოდაა იგი გავრცელებული ძველი ორმოსამარხებისა და კატაკომბურ კულტურებში. ჩრდილოეთკავკასიაში მან სტეპების მოსახლეობასთან ერთად იჩინა თავი [Кушнарева, Рысин 2000: 77]. საქართველოში კი ჩრდილოეთთან ურთიერთობის შედეგად გამოჩნდა [ჯაფარიძე 1998:150].

საჭრელ იარაღად მიიჩნევენ ბედენურ ყორღანებში აღმოჩენილ „შტანდარტებს“, რომელთა მსგავსს ხედავენ ძირითადად ანატოლიისა და სირიის ეგზემპლარებში. თუმცა, არ გამორიცხავენ მათ ადგილობრივი ბელადების საკულტო პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობასაც [Кушнарева, Рысин 2000: 80]. ამგვარ ნივთს ზოგჯერ საკინძს ან სარკე-შტანდარტსაც უწოდებენ [ჯაფარიძე 1998: 115; ღამბაშიძე და სხვ. 2010: 183]. იგი ჩამოსხმული და ნაჭედია. აქვს მრგვალი ან მომრგვალებული ფორმის ბრტყელი თავი და ოთხნახნაგა ღერო. იგი როგორც ჩანს, მხოლოდ ბედენური ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. ბედენის № 10 ყორღანში ამგვარი ნივთი ხის ეტლის თვლების გარეთ, ღერძის ბოლოებში გარჭობილი აღმოჩნდა [გობეჯიშვილი 1981: 42]. ეტლის თვლებს გარეთ, მორგვთან დაფიქსირდა ლითონის დისკოიანთავიანი ნივთების არსებობა ანანაურის № 3 დიდ ყორღანშიც, რამაც ძეგლის გამთხრელებს აფიქრებინა მათ ბორბლების ღერძის ჩამკეტის ფუნქციაზე [მახარაძე, მურვანიძე 2014: 52]. არ გამორიცხავენ ამ ნივთების ეტლის დეკორატიულ დანიშნულებასაც, უარყოფენ რა საკინძებად ან სარკეებად მათ მიჩნევას და უფრო ეტლის სამკაულად თვლიან [გობეჯიშვილი 1981: 42].

ეს ნივთი კარგადაა ცნობილი ბედენისა და კახეთის ბედენურ (ტაბ V-2; IX) ყორღანებში [ჯაფარიძე 1998: 115 – 116]. ცნობილია აზერბაიჯანიდანაც, შამკორჩაის № 2 და კიუდერლის № 14 ყორღანებიდან, რომლებიც ძალზე წააგავს მარტყოფის № 3 ყორღანის ჩაშვებული სამარხის ცალს [Ахундов 2001: таң. XXXV - 3]. მის არსებობას აღნიშნავენ სომხეთშიც, ბედენური კერამიკის შემცველ ბერკაბერის სამარხიდან [Кушнарева, Рысин 2000: 79]. თუ არ ჩავთვლით ყაბარდო-ბალყარეთში, სოვეტსკოეს ყორღანში აღმოჩენილ ეგზემპლარს [Кушнарева, Рысин 2000: 80], იგი არც ჩრდილო კავკასიაში ჩანს გავრცელებული.

კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში აღმოჩენილი ეს ნივთი მოწმობს მის კავშირს მხოლოდ ბედენის კულტურასთან. იგი უცნობი დარჩა როგორც ადრეული, ისე მომდევნო ხანისათვის [ჯაფარიძე 1998: 115].

ადრებრინჯაოს ხანის საქართველოში ბრინჯაოს 4 ტიპის ისრისპირია ძირითადად გავრცელებული. I ტიპს განეკუთვნება ოთხნახნაგა, თავბოლოწამახული ისრისპირი, ფართოდ გავრცელებული ენეოლითის ხანიდან მოკიდებული. ცნობილია ის სომხეთ-აზერბაიჯანში. ნაკლებად – ანატოლია-მესოპოტამიაში. ასევე, ჩრდილო კავკასიაში. საინტერესოა, რომ იგი უცნობი დარჩა საჩხერის ლითონით მდიდარი სამარხებისათ-

ვის [ლამბაშიძე და სხვ. 2010: 176]. ყორღანებში მას ვხვდებით ენამთის № 1 და მარტყოფის № 6 სამარხებში. ასევე, ტყვიავის № 2 ყორღანში. არის ის ორჭოსნისა და ბადაანის ნამოსახლარებზეც [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 014].

II ტიპიც ოთხნახნაგაა, გამოკვეთილი პირით და მასზე რამდენადმე გრძელი ან თანაბარი სიგრძის ასეთივე ყუნწით. იგი ცნობილია ძირითადად სამცხე-ჯავახეთის ძეგლებიდან – ორჭოსნის, სათხესა და ამირანის გორის ნასახლარებიდან [ორჯონიკიძე 2005: 70].

III ტიპიც ოთხნახნაგაა, არაპროპორციულად მოკლე ყუნწით და ძალზე გრძელი პირით. მას ვხვდებით ბერიკლდეების ნასახლარზე, ჟინვალის სამლოცველოზე, ორჭოსანზე. არის ის ეშერის დოლმენშიც [ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010: ტაბ. II; ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 014].

IV ტიპს აქვს მოკლე, ოთხნახნაგა პირამიდული ან კონუსური თავი და ოთხკუთხა ან იშვიათად, მრგვალგანიკვეთიანი ყუნწი. საქართველოში მას მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში ვხვდებით, როგორც მარტყოფულ, ისე ბედენურ სამარხებში. არის ის სომხეთსა და ჩრდილოკავკასიაშიც [ჯაფარიძე 1998: 81; ლამბაშიძე და სხვ. 2010: 181].

ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული ბრინჯაოს ისრისპირის ოთხი ტიპიდან ბედენურ ყორღანებში 2 ტიპია წარმოდგენილი – I და IV ისევე, როგორც მარტყოფულ ყორღანებში. თუმცა, მარტყოფულისათვის დამახასიათებელი IV ტიპი (ტაბ IV; VII; XXI) ნაკლებადაა წარმოდგენილი ბედენურ კომპლექსებში. ამ ტიპებიდან პირველს გააჩნია ადგილობრივი პროტოტიპი, IV ტიპის გამოჩენა კი სიახლეა ამ ხანის საქართველოს კულტურაში [ჯაფარიძე 1998:81].

ადრეულ ყორღანებში მრავლადაა ლითონის სამკაულიც, განსაკუთრებით – მარტყოფისა და მალაროს სამარხებში. ესაა, ბრინჯაოსა და ვერცხლის კასრისებრი მძივები, ოქროს მოგრძო ცილინდრული მოყვანილობის ნახნაგოვანი მძივები და რგოლები. ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები, უცნობი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის, სწორედ ადრეულ ყორღანებში, ყოველგვარი წინარე ტრადიციის გარეშე, იჩინეს პირველად თავს [ჯაფარიძე 2003: 142]. საიდან შემოდის სამხრეთ კავკასიაში ძვირფასი ლითონების დამუშავების ტრადიცია, ჯერ კიდევ არაა ბოლომდე გარკვეული. ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთი ასეთი მხარე სამხრეთი, უფრო კი ანატოლია იყო [ჯაფარიძე 2003: 153]. თუმცა, საქართველოს ყორღანებში აღმოჩენილ ძვირფას ნივთებს სამხრეთში ანალოგები თითქმის არ მოეპოვება. იგი არც ჩრდილოეთში, მაიკოპის კულტურაშია. ამიტომ, ფიქრობენ, რომ საქმე გვაქვს ძვირფასი ლითონის დამუშავების ადგილობრივად ჩამოყალიბებასთან [ჯაფარიძე 2003: 153]. ზოგის აზრით, ლაპარაკი ამ ნაწარმის ადგილობრივობაზე ნაადრევია, რადგან მრავალ პარალელს მის წყარომდე – წინა აზიამდე მივყავართ, საიდანაც ხდებოდა კავკასიაში მონინავე ტექნოლოგიების გადაცემა [Кушнарева, Рысин 2000: 97].

აღსანიშნავია, ალაზნის ველზე, ანანაურის № 2 ყორღანის სამალავ ორმოში ნაპოვნი ოქროს, ვერცხლისა და ელექტრუმის სამკაული (ტაბ LXXXVII-2,4), რომელიც ბევრ საერთოს პოულობს მარტყოფის ჯგუფის ყორღანებში. მაგრამ ანანაურის ამ ყორღანს გამოარჩევს ოქროსგან ნაკეთები ორმაგი სპირალები, უმბონი, სასაფეთქლე რგოლები და განსაკუთრებით კი აჭურული გულსაკიდი [ჯაფარიძე 2003: 142].

ბედენის კულტურის ძვირფასი ლითონის სამკაულიდან ყურადღებას იქცევს თრიალეთისა და ბედენის ყორღანებში აღმოჩენილი ორვოლუტიანი საკინძები (ტაბ LXXXVII-3). ვერცხლისგან დამზადებული ასეთივე საკინძი იყო წნორის ყორღანშიც.

აღსანიშნავია, რომ ორვოლუტიანი საკინძი მხოლოდ ბედენურ ყორღანებში გვხვდება. ამგვარ საკინძებს პროტოტიპი მტკვარ-არაქსის კულტურაში აქვს და ირანული წარმოშობისადაა მიჩნეული [Кушнарева, Рысин 2000: 89]. ნნორის № 2 ყორღანის საკინძს აქვს ბრტყელი, გვერდზე ვოლუტებად დახვეული თავი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო. ბრტყელ ვოლუტებად დახვეული თავები აქვს დანარჩენ ორ საკინძსაც. ბედენის № 5 ყორღანის ცალს მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ზედა ნაწილში აქვს ნახვრეტი. თავი კი ორივე მხრიდან რელიეფური ორნამენტით არის შემკული. თრიალეთის XXII ყორღანის საკინძი კი ორი ნაწილისაგან შედგება – თავისა და მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან, რომლებიც ცალ-ცალკეა დამზადებული. ღეროს ზედა ნაწილში აქვს ზონარის გასაყრელი ნახვრეტი. საკინძის თავის ორივე მხარეს თეგვითაა გამოყვანილი რელიეფური რგოლების რიგები. ოქროს ფირფიტა გადაკრულია სპილენძის ღეროზე. თუ არ ჩავთვლით ამ საკინძებს, ბედენურ ყორღანებში არ გვხვდება სამკაულის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ტიპები [ჯაფარიძე 1998: 121].

ლოკალურ კავკასიურ ფორმად მიიჩნევენ შესქელებული ბოლოებით დასრულებულ თავებგახსნილ სამაჯურებს, ზოგჯერ ზურგზე კოპით. ეს სამაჯურები ბედენურ კულტურას მიეკუთვნება. საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის ექვსი სამაჯურიდან სამი საჩხერიდანაა, სამი – აღმოსავლეთი საქართველოდან. სხვაგან ასეთი სამკაულები ძალზე იშვიათია და მხოლოდ ველიკენტიდან და მესოპოტამიიდანაა ცნობილი [დამბაშიძე და სხვ. 2010: 204].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნნორის № 2 ყორღანში აღმოჩენილი ლომის ოქროს პატარა ქანდაკება. (ტაბ LXXXVII-1). ეს პირველი შემთხვევაა სკულპტურული გამოსახულების აღმოჩენისა სამხრეთ კავკასიაში. ქანდაკება ჩამოსხმულია, კარგად აქვს გამოყვანილი ტანის ცალკეული ნაწილები. მაგრამ მისი სახის ნაკვთები არ შეესაბამება ძველადმოსავლურ სამყაროში ცნობილ ლომის გამოსახულებებს. ვარაუდობენ, რომ იგი ადგილობრივი ოსტატის ნახელავია, რომელიც ცუდად იცნობს უცხო ფაუნის წარმომადგენელს [Дедабришвили 1979: 66; ჯაფარიძე 2003: 153].

ადრეულ ყორღანებში გავრცელებული ქვის იარაღებიდან ყურადღებას იქცევს ხვრელიანი ქვის ცული. იგი ამ კულტურაში იშვიათია. თითქოს ჩანს სიახლოვე მარტყოფულ და ბედენურ ამგვარ ცულებს შორის. ეს ცულები ემსგავსება ჩრდილოკავკასიურებს [შატბერაშვილი და სხვ. 2010: 189].

საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც წინა აზიაში, ქვის გახვრეტილი ცული იშვიათია. ნაკლებადაა ის გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზეც; საქართველოში მას ძირითადად შიდა ქართლსა და სამხრეთ ზონაში ვხვდებით. ამგვარი ცულების დამზადების ტრადიციას ძალზე ადრეულ ხანაში ეყრება საფუძველი ევროპაში. ევროპული კულტურის ხასიათის მატარებელია ჩრდილო-დასავლეთი ანატოლიაც, სადაც ამგვარი ცულები დასტურდება. არ გამორიცხავენ აქ ყუახვრელიანი ქვის ცულების ბალკანეთიდან მოხვედრას [Чайлд 1952: 65 - 66]. ევროპული, განსაკუთრებით კი სამხრეთ რუსეთის კულტურების ამგვარ ცულებს უახლოვებენ კოლხეთში აღმოჩენილ ქვის იარაღს, რომელიც რიგი განსხვავების მიუხედავად, სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს ნაწარმთან, რაც მათი ჩრდილოური წყაროდან წარმომავლობითაა ახსნილი [ჯიბლაძე 2007: 40].

რაც შეეხება ქვის ისრისპირს, მარტყოფულ ჯგუფში ის იშვიათია. სამაგიეროდ, კარგადაა წარმოდგენილი ბედენურ ყორღანებში, სადაც ძირითადად გვხვდება სამკუთხა და ფოთლისებრი ფორმის, ფუძემოლარული ცალები, ფაქიზად, ვინრო პარა-

ლელური ამოღარვის ტექნიკით დამუშავებული ზედაპირით. იშვიათად, გვხვდება ყუნ-
ნიანი ისრისპირიც, ასევე ფაქიზად დამუშავებული იგივე ტექნიკით [შატბერაშვილი
და სხვ. 2014: 85].

ქვისა და პასტის სამკაულიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის მძივები, მათ შო-
რის საინტერესოა ქალცედონის, ონიქსის და ქარვის მძივები. ქარვის მძივები აღმოჩნ-
და ანანაურის № 3 ყორღანში, რომელიც მიჩნეულია ყველაზე ადრეულად არა მარტო
სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში [მახარაძე, მურვანიძე 2014:
54]. დაახლოებით ამავე ხანისა უნდა იყოს ცილინდრული ფორმის ქარვის მძივები და
ქარვისავე სამკუთხა საკიდი მარტყოფის № 4 ყორღანიდან [ჯაფარიძე 1998: გვ. 26].
მარტყოფის ამავე ყორღანში აღმოჩენილი თეთრი პასტის „დომინოს“ ტიპის მძივები
ზედ ორი ამოღარული წრიტა და წერტილიტ შუაში [ჯაფარიძე 1998: 87], ანალოგებს
პოულობს ბერიკლდეების ძვლის ამგვარივე მძივსაკიდებში [Jalabadze 2014: pl. 30-28].
აღებასტრისგან დამზადებული ასეთივე სამკაული ცნობილია აბანოსხევის ყორღანი-
დან [Gogochuri 2008: Fig. 21 – 5] და ქორეთიდან [ჯაფარიძე 1961: სურ. 37]. თეთრი ქვის-
გან დამზადებული „დომინოს“ ტიპის მძივი აღმოჩენილია ქვასათალის № 6 სამარხშიც,
რომელშიც მტკვარარაქსულ შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიან ბადიასტან ერთად
იყო ხადიკის ყორღანის ერთ-ერთი ჭურჭლის მსგავსი კასრისებრი ფორმის ცალყურა
ქილა [ჯაფარიძე 1961: 211, სურ. 37]. ამ სამარხს ბედენურ და მტკვარარაქსულ კულ-
ტურათა თანაარსებობის ამსახველ ძეგლად თვლიან [ორჯონიკიძე 2004: 183].

ბედენური თიხის ჭურჭელი საგრძნობლად განსხვავდება მარტყოფულისაგან. იგი
ფორმათა მრავალგვარობით და შესრულების უფრო მაღალი ხარისხით ხასიატდება.
ის, რაც ადრეული ყორღანული კულტურის ამ ორ კომპლექსს აერთიანებს, ძირითა-
დად ჭურჭლის ზედაპირის დამუშავებაა. მაგრამ ბედენურ კერამიკაზე იგი უმაღლეს
დონემდეა აყვანილი ისე, რომ მისი სიკრიალე თითქმის ლითონურ ბზინვარებაში გა-
დადის. საერთო ელემენტი, მტკვარ-არაქსის კერამიკიდან მომდინარე, თითქოს მაინც
შესამჩნევია და აახლოვებს ამ ორ კერამიკურ კომპლექსს, მაგრამ ბედენური კერა-
მიკა მაინც იმდენად თავისებურია და რიგ შემთხვევაში, მკვეთრად გამორჩეულიც,
რომ მისი დაკავშირება სამხრეთკავკასიურ სხვა ნებისმიერ კულტურასტან ძალზე
გაჭირდება. სწორედ კერამიკაა ძირითადი, რომელიც ბედენის ტიპის ძეგლებს აერ-
თიანებს. ისიც ხელიტ ნაძერწია და ფაქიზად დამუშავებული იმ დონემდე, რისთვისაც
არ მიუღწევია სამხრეთ კავკასიის არც ერთი დროის თიხის ჭურჭელს. ყორღანული
კერამიკის ფორმები დიდი ოსტატობითაა გამოყვანილი, განსაკუთრებით მომცრო
ზომის თხელკეციანი ჭურჭლისა. მათში ყველაზე მეტად დამახასიატებელია ორი
ტიპი – ერთი ცილინდრულყელიანი და ბირთვისებრმუცლიანი ცალყურა ხელადა და
მეორე – ბიკონუსური ფორმის ცალყურა ტოლჩა [ჯაფარიძე 1991:149].

ორივე ტიპი იმტავიტვე მიჩნეულ იქნა ბედენის კულტურის სუფრის უმტავრეს
ჭურჭლად, ამ კულტურის ძირითად მახასიატებლად. გ. გობეჯიშვილმა ერთ-ერთმა
პირველმა მიაქცია ამგვარ ჭურჭელს განსაკუთრებული ყურადღება, რამდენადაც
დაინახა ამ ნაწარმში ის ნიშნები, რომლიტაც ბედენის კულტურა გენეტიკურად უკა-
ვშირდებოდა როგორც წინამორბედ ადგილობრივ, ისე სხვა რეგიონების სინქრონული
კულტურების კერამიკას. იგი თვლიდა, რომ ორივე ეს ჭურჭელი დამზადების მაღალი
ხარისხითა და მხატვრულად სრულყოფილი ფორმებით, არ უნდა ყოფილიყო საყოფ-
ელტაო და საყოველდეო მოხმარებისატვის განკუთვნილი. მისი ვარაუდით ასეთ
ჭურჭელს მოიხმარდა იმდროინდელი საზოგადოების ზედა ფენა, ხოლო შემქმნელები

საგანგებოდ შერჩეული კვალიფიცირებული ხელოსნები იყვნენ. ამიტომაც ეს ჭურჭელი უმთავრესად საზეიმო ხასიათისად მიაჩნდა [გობეჯიშვილი 1981: 50].

ამ კულტურის ტოლჩის პარალელების ძიებისას გ. გობეჯიშვილმა ყურადღება მიაპყრო პირველ რიგში, წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკულ პროდუქციას და მიაჩნდა იმ საერთოზე, რაც ამ კულტურის თიხის ჭურჭელს აერთიანებდა. ესაა, კეცის ორფენიანობა, ზოგჯერ ლითონისებრი ბზინვარების მქონე ზედაპირი, ჭურჭლის შეზნექილი ძირი, ბიკონუსური ტანი და სხვ. თუმცა, იქვე აღნიშნავდა, რომ ჩამოთვლილი ნიშნები არ იყო თავმოყრილი მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ერთ რომელიმე ტიპში და გაფანტულია სხვადასხვა ტიპებში, ე. ი. მისი ზუსტი ანალოგი იქ არ ჩანს. უფრო მეტ საერთოს იგი ხედავდა ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურის თიხის ჭურჭელში, მიუხედავად იმისა, რომ ბედენურისგან განსხვავებით იგი უყურო იყო და ფერთაც სხვა. მაგრამ მაინც, ამ კულტურას იგი მონათესავედ მიიჩნევდა. ბედენურთან დაკავშირებულ მაიკოპური ფორმების სახესხვაობას იგი ამჩნევდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაშიც – დაღესტანში, განსაკუთრებით გინჩის აკლდამების თიხის ჭურჭელში. რამდენადაც დაღესტანში ამგვარი კერამიკა არაა ადგილობრივი, მისი იქ გამოჩენა ბედენისა და მაიკოპის კულტურებიდან ერთ-ერთის გავლენების შედეგი უნდა ყოფილიყო. ამ კულტურების თიხის ჭურჭლის ფორმებს კი, მისი აზრით, წინააზიური ფესვები ჰქონდა. თუმცა, ამ მიმართულებით წარმოებულმა კვლევამ, მეტ-ნაკლებად მსგავსმა ორიოდ ანალოგმა ავტორი დაარწმუნა, რომ ბედენის ჭურჭელს ზუსტი პარალელი მხოლოდ საქართველოში, ძირითადად მტკვრისა და ხრამის ორმდინარეთში ეძებნება. აქვე იგი არ გამორიცხავდა მათ არსებობას საქართველოს სხვა რაიონებში, ასევე, დასავლეთ აზერბაიჯანსა და სომხეთში, რაც შემდგომში სავსებით გამართლდა [გობეჯიშვილი 1981: 55]. და მაინც, ავტორი თვლიდა, რომ ამ ჭურჭლის წარმომავლობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო როგორც ადგილობრივ, ისე ახლო აღმოსავლეთის კულტურათა კერამიკულ ზოგიერთ ფორმასთან, რომელთა დერივატიც შეიძლება იყოს ბედენური და მაიკოპური ჭურჭელიც. აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს არაერთი პარალელი მთელი ძველ-აღმოსავლური სამყაროს სხვადასხვა ხანის ძეგლების, ხშირად განსხვავებული ტექნოლოგიით დამზადებული, ზოგჯერ მოხატული კერამიკის ფორმებსა, თუ ცალკეულ ორნამენტულ სახეებში. თუმცა, ბედენურ ჭურჭელს ასეთ უზარმაზარ ტერიტორიაზე ზუსტი პარალელი მაინც არ მოეძებნა და მსგავსება იქ გავრცელებულ ადრეული კულტურების თიხის ჭურჭელთან მხოლოდ ცალკეული ელემენტებით შემოიფარგლა ისევე, როგორც ჩრდილო კავკასიის, ტრიპოლიეს, სამხრეთ და ცენტრალური ანატოლიის კულტურებთან, რამაც იძულებული გახადა ავტორი ბედენის ამ ტიპის ჭურჭლის წინაპრად მაინც მტკვარ-არაქსის კულტურა მიეჩნია [გობეჯიშვილი 1981: 62].

ბედენური ტოლჩა სამ ტიპად შეიძლება დაიყოს: I ტიპის ტოლჩისთვის დამახასიათებელია ბიკონუსური კორპუსიდან უშუალოდ, ან დაბალი ღარით გამოყოფილი გადაშლილი პირი და ბრტყელი ან ოდნავმედრეკილი ძირი. გამოყვანილი ყური, როგორც წესი, კორპუსის ზედა ნაწილზეა მიძერწილი. ზოგჯერ ყურის მიძერწვის ადგილი უღვაშისებურადაა დაგრეხილი. გარდატეხის ხაზი ამ ტიპის ჭურჭელს ძირითადად კორპუსის ქვედა ნაწილზე გასდევს, იშვიათად – შუაზეც, მსგავსად ოხერახევის (ტაბ LXIV), ხოვლეს (ტაბ LXIII-2), სასირეთის (ტაბ LXXIX), აბანოსხევისა (ტაბ LXIX-1,5) და ტყემლარას IV ყორღანის ძირითადი სამარხის (ტაბ XLVII-10,12) ცალეებისა.

ამგვარი ტოლჩა ძირითადად ორნამენტის გარეშეა, გვხვდება მსხვილი, მრგვალი ფოსო, დატანილი კორპუსზე, ყურის მოპირდაპირე მხარეს, რაც განსაკუთრებით ახასიათებს კახეთისა და ბედენის ჭურჭელს. ზოგჯერ ფოსო ორნამენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, სადაც მასთან ერთად მოცემულია მომცრო კოპებით შემდგარი წრე, მსგავსად ლითონის ზოგიერთი ნაკეთობისა [გობეჯიშვილი 1981: სურ. 25, 26]. კოპები გვხვდება ფოსოს გარეშეც. ტყემლარას IV ყორღანის ძირითადი სამარხის ჭურჭელს კორპუსის ზედა ნაწილზე ორმაგი კოპების სარტყელი შემოუყვება. ორმაგი კოპების რიგი ჩამოსდევს მას ყურთანაც (ტაბ XLVII-12). განსხვავებულია ოხერახევის, ხოვლესა და ბერიკლდეების № 1 ყორღანების ჭურჭლის შემკობა. ნაცვლად კოპებისა, აქ ვხვდავთ კორპუსის ზედა ნაწილზე წვრილი ნაკანრითა და წერტილებით გამოყვანილ ხაზოვან სარტყელებსა და ზიგზაგებს, დაშტრიხულ რომბებსა და სამკუთხედებს. წვერით ქვემოთ მიმართული დაშტრიხული სამკუთხედების ორმაგი სარტყელი შემოსდევს კორპუსზე ქვემო ქართლის № 5 ყორღანის ერთ ამგვარსავე ტოლჩას. ბედენის № 5 ყორღანში აღმოჩენილია ამ ტიპის ჭურჭლის ბაზაზე დამზადებული ჩაიდანი [გობეჯიშვილი 1981: ტაბ. XXIII]. ბოლო ხანებამდე ამ ტიპის ტოლჩა, მსგავსად I ტიპის ხელადისა, უცნობი იყო თრიალეთისათვის [ჯაფარიძე 1975: 154], ახლა კი ის აღმოჩნდა L ყორღანში.

II ტიპის ტოლჩა აგებულიებით რამდენადმე ნააგავს ბიკონუსურტანიანს. ოღონდ მას გარდატეხის ხაზი იმდენად დაბლა აქვს დაწეული, რომ ჭურჭლის კორპუსს ცილინდრული ფორმა აქვს მიღებული. ყური ამგვარ ჭურჭელს კოსპუსზე აქვს მიმაგრებული. განსხვავებულია მარტყოფის № 3 ყორღანის ძირითადი სამარხის ტოლჩა, რომელსაც წინარე ხანის ჭურჭლის მსგავსად ყური პირთან აქვს მიმაგრებული. მტკვარარაქსული და მარტყოფული ელფერისაა მისი შემკობაც – პირქვემ შემოყოლებული, წვერით ზემოთ მიმართული დაშტრიხული სამკუთხედების მწკრივი [ჯაფარიძე 1998: სურ. 25 – 50].

ამ ტიპის ტოლჩას ამკობს ამოღარული და ნაკანრი ვერტიკალური და ჰორიზონტალური პარალელური ღარების სექციებს შორის მოქცეული დაშტრიხული რომბები, წვერით ქვემოთ მიმართული დაშტრიხული სამკუთხედები. რელიეფური ორნამენტი იშვიათია. ხოვლეს ყორღანის № 2 ბედენური სამარხის ტოლჩას მხარზე შემოსდევს დაბალრელიეფური დაკეჭნილი რანტი. მსგავსი ჭურჭელია ქვემო ქართლის № 5 – 7 ყორღანებშიც (ტაბ XLIII). არის ის ბედენის № 5 და ტყემლარას IV ყორღანის ძირითად სამარხშიც (ტაბ... XXXIX; XLVII-9). ამგვარი ტოლჩის ზუსტი ანალოგია ორყურა ჭურჭელი წნორის I და II ყორღანებიდან (ტაბ XXII); არის მარტყოფის № 5 (ჯაფარიძე 1998:48). სასირეთის (ტაბ LXXIX). ქვემო ქართლის № 4 ყორღანებშიც (ტაბ XLI-2). მას ვხვდებით ივრისპირების ბედენურ ყორღანში [კაპანაძე 1984]. არის ის ქორეთის № 1 სამარხსა [ჯაფარიძე 1961: სურ. 29] და ზილიჩას ყორღანშიც (ტაბ XXVI). მსგავსი ფორმის ნაწარმი ცნობილია ორჭოსნის [ორჯონიკიძე 2005: ტაბ. V – 6, 7], ხაშურის ნაცარგორისა [რამიშვილი 2013: ტაბ. XXXIV] და ბერიკლდეების [ჯალაბაძე 1998: ტაბ. VI – VII] ნასახლარებიდანაც. საქართველოს ფარგლებს გარეთ მას ვხვდებით ბერკაბერის ყორღანსა [Гаспарян 1987] და ველიკენტის კატაკომბებში [Гаджиев, Корневский 1984: рис. 1].

III ტიპის ტოლჩა მომრგვალებულტანიანია. მისთვისაც ძირითადად ამოღარული და ნაკანრი ორნამენტია დამახასიათებელი. რელიეფურ შემკობას აქაც ნაკლებად ვხვდებით. ამგვარი ტოლჩა არის ხოვლეს № 2 სამარხში (ტაბ LXIII-2), ზილიჩას № 2

(ტაბ XXVI-2), აბანოსხევისა (ტაბ LXX) და ალაზნის I ყორღანებში. უკანასკნელი შემკულია რელიეფური წრითაც [Дедабришвили 1979: таб. 28]. ამგვარივე ფორმის ჭურჭელი ცნობილია ზველისა [ორჯონიკიძე 1983: ტაბ. 30 – 1] და ორჭოსნის [ორჯონიკიძე 2005: ტაბ. VII – 10] ნასახლარებიდანაც. არის ის ხაჩენაგეტში [Кушнарева 1954: 167], მსგავსი აბანოსხევის ცალისა.

ბედენურ ყორღანებში გვხვდება ხელადის ორი ტიპი. ორივე ტიპს თითქმის ერთნაირი აგებულება აქვს – ცილინდრული, ზოგჯერ შუაში ოდნავგამობერილი ყელი და მომრგვალებული კორპუსი. ძირითადი განსხვავება ყურის მიძერწვის მანერასა და ორნამენტის დატანის ხერხებშია: I ტიპის ხელადას ყური ყელსა და მხარზე აქვს მიმაგრებული, II ტიპს კი იგი კორპუსზე აქვს მიძერწილი. ორივე ტიპი ერთად გვხვდება ალაზნის, ბედენის, ხოვლესა და ტყემლარას ყორღანებში. აქვე უნდა ითქვას, რომ ტყემლარას IV ყორღანის ჩაშვებულ, ბედენისავე კულტურის სამარხში მხოლოდ მეორე ტიპის ხელადაა აღმოჩენილი, განსხვავებით ამავე ყორღანის ძირითადი სამარხისა, სადაც ორივე ტიპია წარმოდგენილი. აქვეა აღსანიშნი, რომ თრიალეთის ყორღანებისთვისაც მხოლოდ II ტიპის ხელადაა დამახასიათებელი (XII, XXII, L ყორღანები).

ორივე ტიპის ხელადა შემკულია ამოღარული სარტყელებითა და „მარგალიტებით“. ასეთი ორნამენტი ამკობს ალაზნის, ბაკურციხის და ბედენის ყორღანების ნაწარმს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ II ტიპის ხელადა უფრო უხვადაა ორნამენტირებული და გამოირჩევა გრაფიკული შემკობის მომეტებული გამოყენებითაც.

„მარგალიტებით“ ჭურჭლის შემკობა ასევე დამახასიათებელია ჩრდილოკავკასიისთვისაც, ნოვოსვობოდნიას კერამიკაზე. მაგრამ არის სხვაობაც, შენიშნული ჯერ კიდევ გ. გობეჯიშვილის მიერ – ბედენურ ნაწარმზე კოპები დაძერწილია და არა შიგნიდან გამოყვანილი, რასაც ადგილი აქვს ჩრდილოკავკასიურ ნაწარმზე [გობეჯიშვილი 1981: 73]. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ხედავდა ახლო კავშირს ამ ორი კულტურის თიხის ჭურჭელში. თუ გავითვალისწინებთ ჭურჭლის შიდა მხრიდან გამოყვანილი კოპების არსებობას ალაზნის ყორღანში [Дедабришвили 1979: таб. XXVII], ზველსა და ღრმახევისთვის ზოგიერთი მოგვიანო კომპლექსის თიხის ჭურჭელზე, ამ კავშირს მეტი დასაბუთება ეძლევა. შეიძლება ითქვას, რომ შიგნიდან გამოყვანილი კოპები საქართველოში და შესაძლოა, მთელს სამხრეთ კავკასიაშიც, პირველად სწორედ ბედენური კულტურის კერამიკაზე ჩნდება [ორჯონიკიძე 1983: 39].

როგორც აღვნიშნეთ, II ტიპის ხელადას ღარებისა და „მარგალიტების“ გარდა, ამკობს გრაფიკული ორნამენტიც – ნვერით ქვემოთ მიმართული დაშტრიხული სამკუთხედების მწკრივები მხარზე, განლაგებული ზოგჯერ სართულებად [ჯაფარიძე 1998: სურ. 43]. დაშტრიხული სამკუთხედებია გამოყვანილი ქვემო ქართლის № 4 და № 6 ყორღანთა ხელადაებზეც. ამ სამკუთხედების ფუძეს შემოყოლებულია „მარგალიტები“, ღარები, წინვისებრი ორნამენტი [ჯაფარიძე 1998: სურ. 43, 49, 50], მსგავსად მარტყოფის № 5 [ჯაფარიძე 1998: სურ. 29] და ბაკურციხის (ტაბ II) ყორღანთა ცალებისა.

მსგავსი ხელადა კარგადაა ცნობილი შიდა ქართლსა და თრიალეთშიც – ტყემლარას [შატბერაშვილი და სხვ. 2010: ტაბ. III – 3, 10]. დურნუკის [შატბერაშვილი და სხვ. 2013: ტაბ. II – 5], თრიალეთის L [ნარიმანიშვილი 2009: ტაბ. 26, 31] და ხოვლეს [ჯაფარიძე 1998: სურ. 57] ყორღანებიდან. ღარებითა და „მარგალიტებით“ შემდგარი ორნამენტი აქვს ბედენის № 5 [გობეჯიშვილი 1981: სურ. 15] და დურნუკის [შატბერაშვილი და სხვ. 2013: ტაბ. II – 4] ყორღანების ამგვარი ფორმისგან შემდგარ ორმაგ ჭურჭელსაც. ანალოგიურ ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს ალაზნის № 1 ყორღანში აღ-

მოჩენილი ფრაგმენტებიც [Дедабришвили 1979: 33]. ალაზნის № 2 ყორღანში კი მსგავსი ჭურჭელია გამოყენებული ჩაიდნის დასამზადებლად [Дедабришвили 1979: таб. 27, LIII]. ფრაგმენტების სახით იგი ცნობილია ალაზნის № 1 ყორღანიდანაც [Дедабришвили 1979: 35]. მსგავსი ჭურჭელი უნდა იყოს ხელთუბნის № 2 ყორღანშიც [მინდიაშვილი 1993: ტაბ. II].

მარტყოფისა და ქვემო ქართლის ველის ბედენურ ყორღანთა ამ ტიპის ხელაღები უფრო მეტად ნაკანრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული [ჯაფარიძე 1998: სურ. 29, 43, 49, 50]. ანალოგიურ სურათს ვხედავთ დმანისის № 1 ყორღანშიც, სადაც ხელაღები შემკულია წინვისებრი ორნამენტით, ასევე მხარზე შემოყოლებული „მარგალიტების“ ორმაგი მწკრივის ქვეშ მოქცეული, წვერით ქვემოთ მიმართული ნაკანრი სამკუთხედების მწკრივით, შიგ ჩახაზული რომბებით. აქვეა ნაკანრ სარტყელებს შორის მოქცეული ვერტიკალური ნაკანრი პარალელური ზოლების სექციები. გამოყენებულია წერტილოვანი ორნამენტიც [Кахиანი и др. 1995: таб. 98]. რომბების სარტყელია ბერიკლდეების № 1 ყორღანის ხელადაზეც. ამ რომბებს ზემოდან და ქვემოდან საზღვრავს ორმწკრივად შემოყოლებული წვერილი ფოსოები. აქვე აღმოჩენილ მეორე ცალყურა ჭურჭელს მომრგვალებული მუცლით და ჩალარული ყელით [Koridze 2012: pl. 49], შეიძლება შევუდაროთ აბანოსხევის ზოგიერთი ხელადა შემკული კოპებით, ან ბერიკლდეების ნასახლარის მსგავსად, კორპუსზე ჩამოყოლებული პარალელური დაბალრელიეფური ზოლებით [Gogochuri 2008: pl. 20 – 2,5].

ბედენურ ყორღანებში ჯამი სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი. გვხვდება როგორც ყურიანი, ისე უყურო ჯამები. არის ფეხიანი ჯამებიც, მსგავსი ხის ანალოგიური ჭურჭლისა. დაახლოებით ამგვარივე ფორმის ჯამები ცნობილია თრიალეთის 25-ე ყორღანიდან. ამ ჯამების კორპუსის ზედა ნაწილი შემკულია ამოღარული და ჩაზნექილი ორნამენტით, ხაზოვან-პრიალა ბადით, წერტილებითა და წვერილი კოპებით [გოგაძე 1972: ტაბ. 11 – 2 – 4]. რამდენადმე განსხვავებულია დალისმთის № 4 ყორღანის ჯამი, მხარზე შვერილებიანი ყურებით [ჯაფარიძე 1998: სურ. 36]. ამავე ყორღანის მეორე ჯამი კი ახლო დგას მარტყოფის № 3 ყორღანის ჩაშვებული სამარხის უყურო ჯამთან [ჯაფარიძე 1998: სურ. 24]. ასევე, ტაშირის ფართოპირიან, მომრგვალებულტანიან ჯამებთან [კახიანი ლილვაშვილი 2006: ტაბ. VI]. ქვემო ქართლის № 9 ყორღანის მტკვარარაქსული იერის ცალყურა ჯამი მსგავსია თეთრიქვების № 4 [ჭაბაშვილი 2004: ტაბ. II – 4] და ანანაურის № 2 ყორღანის [ფიცხელაური 2013: 31] ასეთივე ჭურჭლისა. მრავლადაა მტკვარარაქსული იერის პირმოყრილი ჯამები ანანაურის № 3 და ჭინჭრიანიგორის ყორღანებშიც [მახარაძე, მურვანიძე 2014: ტაბ. VI, IX].

ქილის ფორმის ჭურჭელი ცალყურა, ორყურა და სამყურაა. ფორმით მსგავსია სამყურა ქილები აბანოსხევის, სასირეთისა და ორწყლების № 7 ყორღანიდან. გარკვეული სიახლოვე ჩანს აბანოსხევის ყორღანის ორყურა ქილასთანაც, რომელსაც ასევე კორპუსზე ამოღარული სამკუთხედების მწკრივი შემოსდევს [Gogochuri 2008: pl. 19 – 4].

კატრიანის ყორღანის ცალყურა ქილა ვინროყელიანია, გამობერილი მუცლით და ყურით კორპუსზე (ტაბ LXVII-1). მას შეიძლება დავუახლოვოთ თეთრიქვების № 4 ყორღანის ქილა. თუმცა, მას უფრო ვინრო და მაღალი ცილინდრული ყელი აქვს. ყურიც განსხვავებულად – სფერული კორპუსის ზედა ნაწილზე აქვს მიძერწილი ამავე ყორღანის მეორე ქილის მსგავსად, რომელსაც კორპუსზე სამ-სამი ვერტიკალური, პარალელური რელიეფური ზოლიც ჩამოსდევს (ტაბ IX-2). კატრიანისა და

თეთრიქვეების ყორღანთა ამგვარ ჭურჭელს რამდენადმე უახლოვდება ველიკენტის კატაკომბებში აღმოჩენილი ორი ქილა [Гаджиев, Кореневский 1984: рис. 1 – 15, 18] და მტკვარარაქსული ზოგიერთი ჭურჭელი ირანის გეოი-თეფეს K_1 ფენიდან [Кушнарева, Чубинишвили 1970: рис. 35 – 31]. ანალოგიური მოყვანილობისაა სომხეთში, კაროტხოგერის № 5 სამარხის მტკვარარაქსული ჭურჭელიც იმ განსხვავებით, რომ ყურები იქ ყელსა და კორპუსზეა მიძერწილი [Петросян 1989: таб. 30 1 - 4]. ასეთივეა ხიზანანთგორის C ფენის ზოგი ქილაც [კიკვიძე 1972: 17]. ამირანის გორის 36-ე სამარხის „პიქტოგრამიანი“ ჭურჭელი ანალოგებს პოულობს თეთრიქვეების ყორღანის ქილასთან [ჩუბინიშვილი 1963: ტაბ. V – 1]. გარკვეული პარალელები შეიძლება შევნიშნოთ დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლებთანაც. თუმცა, იქ ჭურჭელს ყური უმეტესად ყელსა და მხარზე აქვს მიძერწილი, რითაც განსხვავდება ყორღანული მასალისაგან.

ბედენური ყორღანების კერამიკულ კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დერგის ტიპის ჭურჭელს. იგი საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის და ძირითადად ორი ტიპითაა წარმოდგენილი, რომელიც თავის მხრივ შეიცავს რამოდენიმე ქვეტიპსაც. გვხვდება ყელიანი და უყელო დერგი. ყელიანი დერგი არის მომრგვალებულტანიანი და ბიკონუსური ფორმისა. ხოლო უყელო დერგი წარმოდგენილია მრგვალტანიანი და კასრისებრი ქვეტიპებით.

მომრგვალებულტანიანი ყელიანი დერგი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ჭურჭელია ამ კულტურის სამარხულ კომპლექსებში. მას აქვს ვიწრო, ცილინდრული ფორმის ყელი, კვერცხისებრი ან სფერული კორპუსი და ვიწრო, ბრტყელი ძირი. ორი მასიური ყური, როგორც წესი, კორპუსის ზედა ნაწილზე, მხართან აქვს მიძერწილი. ზოგიერთი ასეთი დერგი შემკულია მხარზე შემოყოლებული წვრილი კოპების მწკრივით, რასაც ვხედავთ ბაკურციხის, ალაზნის, მარტყოფის № 5, თრიალეთის L, აბანოსხევისა და ტყემლარას IV ყორღანებში (ტაბ II; XXII; LIII; LXVIII-1,2; XLVIII).

იშვიათად, არის რელიეფური წრე [ნარიმანიშვილი 2009: ტაბ. 22], ან წრეში მოქცეული კოპები, შუაში კოპით [Дедабришвили 1979: таб. 28]. არის რელიეფური გველის გამოსახულებაც [შატბერაშვილი და სხვ. 2010: ტაბ. IV – 1]. იშვიათად, კოპებთან ერთად მოცემულია რომბები და დაშტრიხული ლენტები [გობეჯიშვილი 1981: სურ. 40].

ბიკონუსურტანიანი ქვეტიპის დერგი ნაკლებადაა გავრცელებული. მარტყოფის № 2 მარტყოფული წრის ყორღანში ორი ამგვარი ჭურჭელია აღმოჩენილი [ჯაფარიძე 1998: სურ. 5, 6]. არის ის ქვემო ქართლის № 5 ბედენურ ყორღანსა და ტყემლარას № 2 ყორღანშიც [ჯაფარიძე 1998: სურ. 43; შატბერაშვილი და სხვ. 2010: ტაბ. I - 6]. ამგვარ ჭურჭელს აქვს საშუალო ან განიერი პირი, დაბალი ცილინდრული ყელი, მკვეთრად ბიკონუსური ტანი და ბრტყელი, ვიწრო ძირი. შემკობას წარმოადგენს ნაკანრით გამოყვანილი ტეხილხაზოვანი, ზოგჯერ წერტილებით შევსებული ლენტები მხარზე, პარკეტული ორნამენტი და სხვ. (ტაბ III; IV; XLV-6) ფორმით მტკვარარაქსულ ნაწარმთან ახლო მდგომი ეს ჭურჭელი შემკულია ბედენური ხასიათის ორნამენტით. იგი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ბედენური, ისე მარტყოფული ყორღანების საერთო ფორმად [ორჯონიკიძე 1996: 4].

უყელო დერგის მრგვალტანიანი ქვეტიპი აღმოჩენილია ბედენის, თრიალეთის 27-ე და L, ალაზნის, ტყემლარას IV და სხვ. ყორღანებში. ამგვარ დერგს აქვს კვერცხისებრი ან სფერული მოყვანილობის კორპუსი, რომელიც უშუალოდ უერთდება პირს. შემკობას წარმოადგენს ვერტიკალური რელიეფური ზოლების მწკრივი კორპუსზე, კოპები და სხვ. (ტაბ XLVIII-2; XXII; L)

ამ ფორმის ზოგიერთი დერგი ძალზე უახლოვდება ჩრდილო კავკასიურ და ყუბანს იქითპირეთის დერგებს [კახიანი, ლლიღვაშვილი 2006: 214]. კასრისებრტანიანი დერგი

ყორღანებში იშვიათია. მას უფრო ნასახლარ ძეგლებზე ვხვდებით. ყორღანებში კი ცნობილია მარტყოფის № 5 ყორღანიდან [ჯაფარიძე 1998: სურ. 30]. ანალოგიური ფორმა აქვს კატრიანის ყორღანის შედარებით მომცრო ზომის ჭურჭელსაც [Makharadze 2008: fig. 37]. მას ვხვდებით ასევე საჩხერის სამაროვანზე [ჯაფარიძე 1961: ტაბ. XXII] და ჩრდილო კავკასიაში, ოსეთის ტერიტორიაზე, ზოგჯერ განსხვავებულად მიძღვნილი ყურით [Ростунов 1988: рис. 26].

ცალკე ჯგუფს ქმნის სხვადასხვა ტიპის, ზედაპირდაღარული უხეში ჭურჭელი. იგი მკვეთრად განირჩევა ბედენური ყორღანების ფაქიზი ნაწარმისაგან. ამგვარი ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია უსისტემოდ მიმართული სავარცხლისებრი ღარებით. იგი ცნობილია მარტყოფის № 3 ყორღანის ძირითადი სამარხიდან [ჯაფარიძე 1998: სურ. 26], აბანოსხევის ყორღანიდან [Gogochuri 2008: Fig. 18]. იგი აღმოჩნდა ალაზნის I ყორღანის ყრილობიდან [Дедабришвили 1979: XXX]. უფრო მრავლად კი ამგვარი ჭურჭელი გვხვდება შიდა ქართლის ბედენურ ნასახლარებზე [მახარაძე 1994: 59; ჯალაბაძე 1998: ტაბ. II; რამიშვილი 2013: 31]. ეს კერამიკული ტექნიკა კარგადაა წარმოდგენილი აფხაზეთის დოლმენებშიც, რომლის მსგავსი ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ კავკასიისპირეთში და უფრო ჩრდილოეთით მდებარე ოლქების ადრეულ კულტურებში [გოგაძე 1972: 91].

ორი კულტურული სამყაროს – ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე გავრცელებული მტკვარარაქსული კულტურა დროთა განმავლობაში ფართოვდება, ძირითადად სამხრეთის მიმართულებით მიიწევს და იკავებს უზარმაზარ ტერიტორიას, მოიცავს რა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვისპირეთის მთელ რიგ რაიონებს. მახლობელ აღმოსავლეთში მისმა ფართო განფენამ განაპირობა ძველად აღმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერება, გაზარდა ამ კულტურის მატარებელი ტომების როლი წინააზიის უძველეს ისტორიაში, აქცია კავკასია და ბუნებრივია, აღმოსავლეთი საქართველოც, სამხრეთის დაწინაურებული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, მის ჩრდილო პერიფერიად [ჯაფარიძე 1976: 62 – 63].

ვითარება ძირეულად იცვლება ამ კულტურის ბოლოსათვის, როდესაც თავისი არსებობის თითქმის ათასწლოვანი პერიოდის მიწურულს შეცვლილი ბუნებრივი პირობების, საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი მკვეთრი გარდატეხის, მძლავრი მიგრაციული პროცესების, თუ სხვა, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელი მიზეზების გამო მტკვარ-არაქსის კულტურა კრიზისს განიცდის, რაც მისი გავრცელების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვანაირად წარიმართა. აღმოსავლეთ საქართველოში ამ კრიზისის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების გამოჩენა სახელდება [ჯაფარიძე 1998: 143]. ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი – ინდივიდუალური ყორღანული სამარხი, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი ტრადიცია. დასაფლავების ეს წესი კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე ტომებისათვის იყო დამახასიათებელი, რომლებიც ამ პერიოდისთვის აქტიურდებიან სამხრეთი კავკასიის მიმართულებით [Burney 1958: 175]. ჩრდილოური გავლენების გაძლიერება, ჩანს, მხოლოდ კავკასიის მიმართულებით არ მომხდარა. ეს პროცესი ინტენსიურად წარიმართა შუა აზიასა და ბალკანეთშიც, რამაც მთლიანობაში საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო [ჯაფარიძე 1998: 173; Makharadze 2014: 226]. ამიერიდან აღმოსავლეთი საქართველო გარკვეული ხნით ჩამოცილდა წინააზი-

ურ სამყაროს, რომელთანაც მას ტრადიციულად მჭიდრო კულტურული კავშირები გააჩნდა და მოექცა ჩრდილოურ კულტურათა ორბიტაში. ჩრდილოეთის ოლქებთან ურთიერთობა ნათლად აისახა არა მარტო სამარხის ტიპსა და დაკრძალვის წესში, არამედ, სამარხეული ინვენტარის მნიშვნელოვან ნაწილშიც. ამიტომ, გაუმართლებლად მიგვაჩნია სამხრეთი კავკასიის ამ დროის არქეოლოგიური კულტურების ჩრდილოეთ-თან კავშირის კატეგორიული უარყოფა და მათი მთლიანად წინააზიურ ცივილიზაციათა სივრცეში მოქცევა [ფუთურძე 2011: 48]. რასაკვირველია, არავინ თვლის, რომ წინააზიურ სამყაროსთან კავშირი სავსებით შეწყდა და რომ მისი კულტურული მიღწევები აქ არ იქნა გაზიარებული. ცნობილია, რომ სწორედ სამხრეთიდან შემოდიოდა ლითონის იარაღის გარკვეული ნაწილი და საიუველირო საქმიანობისათვის საჭირო ტექნოლოგიები, რასაც უზრუნველყოფდნენ ვაჭრებისა და მოხეტიალე ხელოსნების მცირე ჯგუფები [Кушнарева, Рысин 2000: 81]. მაგრამ არავის უარუყვია სამხრეთ რუსეთის სტეპებისა და ჩრდილო კავკასიის ადრეულ კულტურებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის არსებობაც. სწორედ აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის დიდ კულტურულ წრეებში ვლინდება ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელი ელემენტების ერთობლიობა, როგორც სამარხის ტიპსა და დაკრძალვის წესში, ისე არქეოლოგიურ მასალებში, მათ შორის, განსაკუთრებით ნათლად, თიხის ჭურჭელში [Burney 1958; გოგაძე 1972; გობეჯიშვილი 1981; ჯაფარიძე 1998; ორჯონიკიძე 2014]. ზოგი მკვლევარი, მართალია, არ უარყოფს ჩრდილო ოლქების კულტურათა გავლენების არსებობას, მაგრამ მათ მხოლოდ უმნიშვნელო როლს ანიჭებს. უმთავრესად კი მიიჩნევენ სამხრეთის დანიშნურებულ ცენტრებს, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი აქვს მიკუთვნებული სომხეთის მთიანეთს, მცირე აზიასა და სირიას, საიდანაც ხედავს ნოვაციების ძირითადი ნაკადის – ლითონის იარაღ-სამკაულის ჯერ სამხრეთ კავკასიაში, აქედან კი – ჩრდილოეთით გადაცემის გზას. რაც შეეხება ჩრდილოეთს და აღმოსავლეთ ევროპას საერთოდ, მისი კულტურის კვალს მხოლოდ ცალკეულ, არცთუ უმნიშვნელო ისეთ ელემენტებში ხედავს, როგორიცაა სამარხის ტიპი, დაკრძალვის წესი, თიხის ჭურჭელი და სხვა [Кушнарева, Рысин 2000: 60 - 109], რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კულტურის სახის ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის მასობრივი გადაადგილების პროცესების რეკონსტრუქციისას. თუმცა, არც ლითონის იარაღის გავრცელების მხრივ აქ ყველაფერი ნათელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაუმართლებლად მიგვაჩნია ადრეული ყორღანებისთვის დამახასიათებელი სატევრის ერთ-ერთი ტიპის სომხეთში, ელარში აღმოჩენის საფუძველზე, ამგვარი იარაღის სამხრეთული წარმომავლობის მტკიცება მაშინ, როცა მსგავსი ფორმა ფართოდაა წარმოდგენილი ჩრდილო ზონის არაერთ კულტურაში. არც ხოვლეს ყორღანის აღისებრპირიანი ხელშუბისპირი გამოდგება შუალედურ რგოლად ამგვარი იარაღის ანატოლიიდან (სადაც იგი მეტად იშვიათია) ჩრდილოეთით გავრცელების გზაზე. სინამდვილეში, პირიქით მოვლენასთან უფრო უნდა გვეკონდეს საქმე – ჩრდილოეთში ამგვარი იარაღი მრავლადაა, ვარიანტებითაა წარმოდგენილი და სამხრეთითაც აქედან ჩანს გავრცელებული [ჯაფარიძე 1998: 150].

რა მოსდის მრავალსაუკუნოვან მტკვარ-არაქსის კულტურას ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში, მთლიანად ქრება იგი ახალი კულტურის გამოჩენის შედეგად, თუ მისი ტრადიციები გარკვეულწილად კვლავაც განაგრძობს არსებობას, კონკრეტულად რა სახით ვლინდება ეს ნიშნები მატერიალურ კულტურაში, ყოველთვის ინვესტა მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს. იმ ეპოქალური ძვრების მიუხედავად,

რაც ახალი – ყორღანული კულტურის გამოჩენას მოჰყვა შედეგად, მტკვარარაქსული ტრადიციები აღმოსავლეთი საქართველოს თითქმის ყოველი რეგიონის მატერიალურ კულტურაში მეტ-ნაკლებად მაინც შემორჩა. როგორც ჩანს, ეს ტრადიციები არაა ერთგვაროვანი და სხვადასხვა ლოკალური ვარიანტის ნიშნებს შეიცავს, რამდენადმე სახეშეცვლილს, ახალ კულტურასთან შეხების გამო [ორჯონიკიძე 2004: 172]. ფიქრობენ, რომ მარტყოფული ჯგუფის ყორღანების კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურასთან გენეტიკურ კავშირშია [გოგაძე 1972: 19; ჯაფარიძე 1998: 69], ან სულაც, ეს ჯგუფი მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპს წარმოადგენს [Кушнарева, Чубинишвили 1970: 159; მინდიაშვილი 1993; Махарадзе, Орджоникиძე 2007]. მარტყოფული კერამიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, მართლაც, მჭიდროდ უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურას. ორივეგან გვხვდება ბიკონუსური, სამნაწილადი და მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი სადა ზედაპირით, ან შემკული ძირითადად ჭრილი გეომეტრიული, ტეხილბ-აზოვანი, ზოგჯერ კი ზოომორფული სტილიზებული გამოსახულებებით. ამგვარ ჭურჭელზე ნათლად აისახა ურთიერთობა მტკვარ-არაქსის კულტურის ორ წრეს: შიდა ქართლურსა და სამხრეთულს შორის, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ორივე ეს ლოკალური ვარიანტი უკვე არსებობდა. ამდენად, მარტყოფული ყორღანები ბედენურზე ადრეულადაა მიჩნეული წინარე – მტკვარარაქსულ კულტურასთან მისი თიხის ჭურჭლის გენეტიკური კავშირის გამო. ბედენური კერამიკა კი ახალია და არ უჩანს ადგილობრივი წინამძღვრები. თუმცა, შენიშნავენ ამ კულტურათა კერამიკის თანაარსებობას ზოგიერთი ყორღანის სამარხეულ ინვენტარში [Куфтин 1948: 26; გოგაძე 1972: 22-24]. თრიალეთურთან შედარებამ განსაზღვრა ქვემო ქართლის № 5 ბედენური ყორღანის ასაკი. აქ აღმოჩენილი მარტყოფული ერთი ჭურჭლის საფუძველზე, რომელსაც ახლო პარალელი გააჩნია თრიალეთის XXIV ყორღანში, ეს ყორღანი აქვე გათხრილ ყველა ყორღანზე ადრეულად იქნა მიჩნეული [ჯაფარიძე 1975]. ანალოგიური ჭურჭლის აღმოჩენის გამო, ალბათ, ერთი და იმავე ხანით უნდა დათარიღდეს ფარავნის, კოდიანის, დალისმთის ველის № 1 და სხვა ყორღანებიც. დმანისის № 1 ბედენურ ყორღანშიც ვხედავთ ქვემო ქართლის № 5 ყორღანის მსგავს სურათს – განსხვავებულ კულტურათა თიხის ჭურჭლის თანაარსებობას. იგივე მდგომარეობა ჩანს ზოგიერთ ნასახლარზეც: ილტოზე, ციხიაგორაზე, ხაშურის ნაცარგორაზე და სხვ.

მაგრამ მხოლოდ ამგვარი კერამიკის თანაარსებობით არ ამოიწურება მარტყოფული ჯგუფის ყორღანების ურთიერთობა ბედენურთან. ჩრდილო კავკასიის, უფრო კი დაღესტნის კულტურულ წრეში პოულობს საერთოს მტკვარარაქსული კერამიკა ქვემო ქართლის № 9 ყორღანიდან. იგი ახლოს დგას ყარაბუდახკენტისა და გატინკალეს ნაწარმთან [ჯაფარიძე 1975]. ჩრდილოკავკასიურს უახლოვდება კორინთას სამარხის ცალყურა ჭურჭელიც, რომლის თანმხლები არაკერამიკული მასალა ძველი ორმოსამარხების კულტურის ნიშნების მატარებელია [ჯაფარიძე 2003: 155, სურ. 120]. ეს ჭურჭელი მსგავსია ანანაურის № 2 მარტყოფული ყორღანის ერთ-ერთი ჭურჭლისა [ფიცხელაური 2013: ტაბ. XV], ხოლო მეორე, ბიკონუსურტანიანი ქილა ამავე ყორღანიდან, პირდაპირ ანალოგებს პოულობს ხაშურის ნაცარგორისა [ორჯონიკიძე 2004: სურ. 65 – 1] და სადახლოს № 4 ეტლიან ყორღანში [Гогелия, Челидзе 1985: таб. XX]. აღნიშნულის პარალელურად ვხედავთ მტკვარ-არაქსის კულტურის კიდევ ერთი – შიდაქართლური ლოკალური ვარიანტის კერამიკის თანაარსებობასაც ბედენურ ნაწარმთან. ქვემო ქართლის № 9 ყორღანი, რომლის კერამიკა ჩრდილოკა-

ვკასიურთან იჩენს სიახლოვეს, შეიცავს ფაქიზი ნაკანრით შემკულ ფრაგმენტებსაც, რომელიც მოგვაგონებს თრიალეთის XI [ჯაფარიძე 1975] (მტკვარ-არაქსული ტიპის ხელალების შემცველ), ხელთუბნისა [მინდიაშვილი 1993] და თეთრინყაროს [ჯაფარიძე 1960] ყორღანების ბედენურ მასალებს. თეთრინყაროს ამავე ყორღანის მტკვარ-არაქსული ნაწარმის უახლოეს ანალოგს კი საჩხერის ზოგიერთ იმ ჭურჭელში ვხედავთ, რომელიც შიდაქართლურ წრეს მიეკუთვნება [ჯაფარიძე 1960], მსგავსად ქვასათალის № 6 სამარხის ბადიისა, აღმოჩენილს ბედენური ტიპის ჭურჭელთან და „დომინოს“ მძივთან ერთად [ჯაფარიძე 1961: 182].

ბედენურ ყორღანულ გარემოში გვხვდება ასევე მტკვარ-არაქსის კულტურის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისათვის ძალზე დამახასიათებელი რელიეფური სპირალური ორნამენტის მქონე ჭურჭელი ანანაურის № 3 [მახარაძე, მურვანიძე 2014: ტაბ. VII-VIII], თრიალეთის XLVI [გოგაძე 1972: ტაბ. XIV] და მარტყოფის № 6 [ჯაფარიძე 1998: სურ. 34] ყორღანებიდან; ხოლო ქვემო ქართლის № 3 ყორღანი შეიცავს ადრემტკვარარაქსული იერის ჭურჭელსაც. მსგავსი მაგალითები კიდევაა. შეიძლება ითქვას, რომ ბედენური ნაწარმი თანაარსებობს მტკვარ-არაქსის კულტურის თითქმის ყველა ლოკალური ვარიანტის იმ კერამიკასთან, რომელიც ზოგადად, შეიძლება მარტყოფულ ჯგუფში გაერთიანდეს.

რაც შეეხება ბედენურ კერამიკას, რომელსაც განსხვავებით მარტყოფულისაგან ადგილობრივი ნაწარმდღვრები არ უჩანს, მასში მართლაც შეინიშნება გარკვეული მტკვარარაქსული ელემენტების არსებობა შავპრიალა ჭურჭლის კეთებაში, კეცის ორფენიანობაში, სპირალური ორნამენტისა და თიხის სარქველების გამოყენებაში. მაგრამ მთლიანობაში, სხვაობა ამ ორი კულტურის კერამიკას შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ იგი მხოლოდ ევოლუციით ვერ აიხსნება [გოგაძე 1972: 108].

ბედენურ კერამიკას მორფოლოგიურად ორ ჯგუფად ყოფენ: პირველ ჯგუფში აერთიანებენ ხოვლეს, ქვემო ქართლისა და მარტყოფის ბედენურ ყორღანებს შვერილიანი ყურისა და სავარცხლისებრი დაღარულზედაპირიანი უხეში ჭურჭლის არსებობის გამო. მეორე ჯგუფში კი ბედენის პლატოს ყორღანების მსგავსი მასალაა წარმოდგენილი [ლლონტი, ნემსაძე, ჯავახიშვილი 1986: 33 – 34]. პირველი ჯგუფის კერამიკის შემცველი ყორღანები შედარებით მრავალრიცხოვანია, უფრო დიდ ფართობზეა გავრცელებული და თიხის ჭურჭლის მეტი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ამ ჯგუფის კერამიკა ახლო პარალელებს პოულობს ჩრდილო კავკასიის – დაღესტნისა და აზოვისპირეთის ნაწარმთან. სწორედ ამ ჯგუფის ნაწარმთან თანაარსებობს ყორღანებში მტკვარარაქს-მარტყოფული თიხის ჭურჭელი.

მეორე ჯგუფის კერამიკის შემცველ ყორღანებში კი გვხვდება ფაქიზად ნაკეთები შავპრიალა, ზოგჯერ მეტალისებრი ბზინვარების მქონე ბიკონუსურტანიანი ტოლჩები, ცილინდრულყელიანი და მრგვალმუცლიანი ხელალები, კვერცხისებრტანიანი ან მომრგვალებული კორპუსის მქონე ყელვინრო დერგები, შემკული ღარებით და „მარგალიტებით“. ამ ჯგუფში ერთიანდება ბედენის, ბაკურციხის, წნორის, თრიალეთის L, ტყემლარასა და სხვა, მსგავსი თიხის ჭურჭლის შემცველი სამარხები. ამგვარ ნაწარმს ახლო ანალოგები აქვს ჩრდილო კავკასიის – მაიკოპისა და ნოვოსვაბოდნიას რიგის ძეგლებში [გობეჯიშვილი 1981: 51 – 74]. ამ ჯგუფის კერამიკის თანაარსებობა ყორღანებში მტკვარარაქს-მარტყოფულ ნაწარმთან თითქოს არ შეინიშნება. ფიქრობენ, რომ ადრეულ ბედენს მიეკუთვნება პირველი ჯგუფის ყორღანები ე. ი. ის ძეგლები, სადაც ერთადაა მტკვარარაქს-მარტყოფული და ბედენური კერამიკა, ხოლო მეორე –

მოგვიანო ჯგუფში კი ერთიანდება მხოლოდ ფაქიზი ბედენური თიხის ჭურჭლის შემცველი ყორღანები [მახარაძე 1994: 74]. არის საპირისპირო შეხედულებაც.

ბედენის კულტურის გამოჩენას უკავშირებენ მოსახლეობის ახალი ნაკადის შემოსვლას ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან (აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა) [გოგაძე 1972: 111]. ჩნდება კალიანი ბრინჯაოს იარაღ-სამკაულის ახალი ტიპები, ქვის ნატიფად დამუშავებული ისრისპირები და სხვა მრავალი ელემენტი, რაც მკვეთრად განასხვავებს ამ ჯგუფს მტკვარარაქს-მარტყოფული წრის ძეგლებისაგან. თავს იჩენს სრულიად ახალი კერამიკული ფორმები, შემკობის ხერხები, რითაც უფრო მჭიდრო კავშირი ჩანს იმ ქვეყნებთან, რომლებიც მდებარეობენ სამხრეთ კავკასიის დასავლეთით და ჩრდილოეთით, ვიდრე სამხრეთით და აღმოსავლეთით. დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე ამ ოლქების კერამიკული ელემენტები კი იქ ჩანს უფრო ადრე და დამახასიათებლად, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში. ამ ელემენტებს ერთნაირი იერი აქვთ. მაგალითად, ანატოლიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისას, რომელთა გამოჩენა ირანსა და მესოპოტამიაში, მოხატულკერამიკიან ქვეყნებში, ახსნილია მათი გავრცელებით ჩრდილოეთით ან დასავლეთით მდებარე ოლქებიდან [გოგაძე 1972: 108]. წინა აზიასთან ურთიერთობა კი უფრო მეტად შესამჩნევია მეტალურგიასა და საიუველირო საქმეში. კერამიკით სამხრეთთან კავშირი ნაკლებად შეინიშნება. ამიტომ, თვლიან, რომ ამ დროს სამხრეთიდან მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან გადმოადგილებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. თუ სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს უპირველეს ყოვლისა ჩრდილოეთის მხრიდან უნდა მომხდარიყო [ჯაფარიძე 1989:36].

